ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 21 მარტი, 2018 №67 (7612) ფასი: 50 თეთრი

ნიკა მელია: „ბოლნისის გადარჩენა უკვე შეუძლებელია. ყოველ მეათე ოჯახში სიმსივნით დაავადებული ადამიანია“



გვ.5

20 მარტიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

# ცხინვალმა ტატუნაშვილის ცხედარი გადმოგვცა



გვ.2

„რუსეთის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია, რომ ტატუნაშვილი გარდაიცვალა გულის მწვავე უკმარისობით, რომელიც მწვავე იშემიური მიოკარდის შედეგად განვითარდა. გარდა ამისა, მას ღვიძლის ციროზი და ქრონიკული ჰეპატიტი ჰქონდა“

## „ამაზრზენია, როცა გვამით ვაჭრობას იწყებ და გვამს აპატიმრებ“

გვ.2



## „ქართული ოცნება“ ივანიშვილისგან დისტანცირებას ცდილობს“

რატომ გადაიფიქრა მმართველმა გუნდმა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ კანონის მიღება

გვ.3



## ხათუნა ხოფერია: „სახალხო დამცველი ადამიანების ბედით არ უნდა მანიპულირებდეს“

გვ.4



## თორნიკე შარაშენიძე: „ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩვენი სპეცსამსახურები უნდა გააქტიურდნენ“

გვ.3



## სამართალი

გვ.7




### უკანონო სათვალთვალო მოწყობილობა „დინამო არენასთან“



### რუსთავში ავტომობილი ქალს დაეჯახა — მძღოლს პოლიცია ეძებს




### ფალსიფიცირებული ყავა სავაჭრო ობიექტებში — დაკავებულია მეწარმე

## ეკონომიკა

გვ.6



### საქართველოში სანთებელების კონტროლი ამოქმედდა

### „სასაკლაოები ვერ გასცემენ ცხვრის ხორცზე ცნობას, რომელიც სურსათის უვნებლობის სამსახურს აკმაყოფილებს“



### ხორცის უმსხვილესი იმპორტიორი კომპანიები



სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

### სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა 284 პირს დაეკისრა

ISSN 1987-9385

9 771987 938006

5 ბათუმში მშენებარე კორპუსიდან მამაკაცი გადმოვარდა და გარდაიცვალა

4 „სითი პარკი“ ბიზნესომბუდსმენს მიმართავს და სათანადო რეაგირებას მოითხოვს

5 მერია ჰიბრიდული ავტომობილების შექმნას გეგმავს

4 სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გაუმართაობაზე ჯარიმები 10 ათასი ლარიდან დაიწყება

# ცხინვალმა ტატუნაშვილის ცხედარი გადმოგვცა

შორენა მარსაგიშვილი



რუსმა ოკუპანტებმა და მათმა საყმომ, ცხინვალის ხელისუფლებამ, 26 დღის შემდეგ არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი ტყვეობიდან გაათავისუფლა. ცხედრით მოვაჭრეებმა ეს გადაწყვეტილება გუშინ, 20 მარტს, მიიღეს.

ცხედრის გადაცემა ცხინვალის მორგში მოხდა. იქ ტატუნაშვილი როსტოვიდან ჩამოასვენეს, სადაც ცხინვალიდან იქნა გადასვენებული ექსპერტიზის ჩასატარებლად.

ოსური მედიის ცნობით, ტატუნაშვილის ცხედარი წითელი ჯვრის წარმომადგენლებს პროკურატურის თანამშრომლებმა გადასცეს.

ოსური სააგენტოების ცნობით, პროკურატურამ წითელი ჯვრის წარმომადგენლებს ასევე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა გადასცა.

– რუსეთის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია, რომ ტატუნაშვილი გარდაიცვალა გულის მწვავე უკმარისობით, რომელიც მწვავე იშემიური მიოკარდის შედეგად განვითარდა. გარდა ამისა, მას ღვიძლის ციროზი და ქრონიკული ჰეპატიტი ჰქონდა, – განაცხადა ოკუპირებული ცხინვალის პროკურატურის წარმომადგენელმა.

მისივე თქმით, დასკვნაში აღნიშნულია, რომ ტატუნაშვილის სხეულზე, ქვედა და ზედა კიდურებზე არის დაზიანებები, რომლებიც კვალიფიცირდება, როგორც ჯანმრთელობისთვის მსუბუქი ზიანის მიყენება.

ოკუპანტების საყმომ ცხედრის გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია გუშინ დილით გაავრცელა. აღსანიშნავია, რომ ამ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი თავიდანვე ამბობდა, რომ ტატუნაშვილის ცხედარს რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გადმოგვცემდნენ.

საპრეზიდენტო არჩევნები 18 მარტს ჩატარდა, 20 მარტს კი ცხედარი გაათავისუფლეს.

ცხედრის გადმოცემის თხოვნით რუსეთს საქართველოს პატრიარქმაც მიმართა. მან საგანგებო წერილი გაუგზავნა რუსეთის პატრიარქს. კირილმა ილია II-ს მოსწერა, რომ ტატუნაშვილს რამდენიმე დღეში დააბრუნებდნენ. კირილმა დანაპირები ვერ შეასრულა.

სავარაუდოდ, მან არც მოისურვა ამ საქმეში ჩართვა, თორემ ტატუნაშვილის ცხედარი ოჯახს უფრო ადრე დაუბრუნდებოდა.

ტატუნაშვილის დაბრუნებას საქართველოს ხელისუფლება უახლოეს მომავალში აღარ ელოდა. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ამიტომ გააკეთებინეს 19 მარტს გოგა ხაინდრავას ის გაუგებარი განცხადება.

– ვერ ვაბრუნებთ ამ ცხედარს, ამერიკის შეერთებული შტატებიც ვერ აბრუნებს ამ ცხედარს და მთელი მსოფლიოც ვერ აბრუნებს, მიუხედავად იმისა, რომ არ დარჩა ინსტიტუცია, რომელმაც არ მოუწოდა რუსეთს. რა თქმა უნდა, ჩვენ მათთან ურთიერთობები არ უნდა გავამწვავოთ, ურთიერთობები შეძლებისდაგვარად უნდა დავალაგოთ, მაგრამ ჩვენ არ უნდა ვეცადოთ, ავხტეთ საკუთარ თავზე მაღლა და, როგორც წესი, არ უნდა ამოვხტეთ საცვლებიდან იმ დროს, როდესაც მშვიდად და წყნარად შეიძლება საკითხების დაყენება. ასე იყო გაკეთებული კვირიკაშვილის წერილში, – აღნიშნა ხაინდრავამ.

ხაინდრავას საცვლებიდან ამოხტომა აღარ დასჭირდება, ოკუპანტებმა ცხედარი დააბრუნეს, მის განცხადებას კი ყველა დაიმახსოვრებს, როგორც სამარცხვინოს.

არჩილ ტატუნაშვილი საქართველოს 2 მოქალაქესთან ერთად მიმდინარე წლის 22 თებერვალს დააკავეს ოკუპირებულ ახალგორში. ინფორმაცია მისი გარდაცვალების შესახებ ქართველმა საზოგადოებამ 23 თებერვალს ოსური მედიით შეიტყო. ოკუპირებული ცხინვალის მტკიცებით, ტატუნაშვილი გულის შეტევის შედეგად გარდაიცვალა.

ქართულმა მხარემ გარდაცვალების მიზეზების დასადგენად საქმეში ქართველი ექსპერტების ჩართვა მოითხოვა, რაზეც ოკუპირებულმა ცხინვალმა უარი განაცხადა.

ცხინვალიდან გადმოსვენებულ ტატუნაშვილის ცხედარს ექსპერტიზა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში ჩაუტარდება. საქართველოში ვარაუდობენ, რომ სიმართლის დადგენა გაჭირდება, რადგან რუსები ცხედარს ყველანაირად დააზიანებდნენ.

თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს, ფაქტი ერთია – ტატუნაშვილი ცხინვალის ციხეში წამებით მოკლეს, ოსებმა და რუსებმა კი ცხედრით ივაჭრეს.

...

პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე განხილვის მთავარი თემა ტატუნაშვილი იქნება. საკანონმდებლო ორგანო რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ შესახებ რეზოლუციას განიხილავს.

საქართველოს ხელისუფლებას ამ რეზოლუციის მიღებაც ძალიან გაუჭირდა.

რეზოლუციის პროექტი უმცირესობასა და უმრავლესობას შორის შეთანხმებული ვარიანტია, რომელშიც ასახულია „ევროპული საქართველოს“ ინიციატივა „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ შექმნის შესახებ.

აღნიშნული პროექტის თანახმად, მთავრობამ 2018 წლის 15 ივნისამდე პარლამენტს უნდა წარუდგინოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეთა მკვლელობაში, გატაცებაში, წამებასა და არაჰუმანურ მოპყრობაში, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, აგრეთვე ამ დანაშაულთა დაფარვაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა სია, რომელსაც პირობითად ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია ჰქვია.

რეზოლუციის თანახმად, პარლამენტი გმობს: რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციასა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯებს; რუსეთის ფედერაციის მიერ საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვას, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის იზოლაციას; ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეგულარულ უხეშ დარღვევას, რაც დადასტურებულია მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური დოკუმენტებით.

პარლამენტი რუსეთის ფედერაციას მიმართავს, შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, მათ შორის 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, შეწყვიტოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის უკანონო ოკუპაცია და გააუქმოს გადაწყვეტილება საქართველოს ოკუპირებული რეგიონების „დამოუკიდებლობის“ აღიარების შესახებ.

ამასთან, პარლამენტი საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართავს, დააწესოს ყველა შესაძლო შეზღუდვა და ხელი შეუწყოს სამართლის აღსრულებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეთა მიმართ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა წინააღმდეგ.

## „ობიექტივის“ ჟურნალისტსა და ოპერატორს თავს დაესხნენ – ინციდენტი ავლაბარში




ტელეკომპანია „ობიექტივის“ ჟურნალისტ ნინო ლორჩოშვილსა და ოპერატორ დავით მახარაძეს ცუცქირიძის 13 ნომერში მიმდინარე მშენებლობის წარმომადგენელმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

„ობიექტივის“ პროდიუსერ ზვიად რუაძის ცნობით, გადამღები ჯგუფი უკანონო მშენებლობაზე სიუჟეტს აკეთებდა, რა დროსაც მათ სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი თავს დაესხა და სცემა.

# „ამაზრზენია, როცა გვამით ვაჭრობას იწყებ და გვამს აპატიმრებ“

გულიკო ბალაძე

ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „კოალიცია დევნილთა უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ზურაბ ბერდიანიშვილი (რომელიც წლების წინ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელ სანაკოევის აპარატის უფროსი იყო) „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ, მათი ინფორმაციით, არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ უნდა გადმოეცათ.

– ჩვენი ინფორმაციით, ტატუნაშვილის ცხედარი არჩევნების მეორე დღეს უნდა გადმოეცათ. ჩვენც ვფიქრობდით, პუტინის არჩევნები რომ დამთავრდებოდა, შემდეგ გადმოსცემდნენ. ტატუნაშვილი ცემაში შემოაკვდათ. ცხინვალში არაფერი იმალება, ეს ცხინვალში ჩვენებმა იციან. თუმცა, ეს ვერსიაა. ვინც გამოუშვეს, ის ბიჭებიც არაფერს ამბობენ, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ზურაბ ბერდიანიშვილი.

***– ბატონო ზურაბ, ცხინვალში ტყვედ ნამყოფი ბიჭები, ალბათ, ვერც ვერაფერს იტყვიან, რადგან, როგორც ვიცი, ერთ-ერთის მამა ახალგორში დარჩა. ხომ შეიძლება, შემდეგ მამა გახდეს საოკუპაციო რეჟიმის მსხვერპლი?***

– აქ სხვა ამბავია, თუმცა ისეთი რაღაც გლობალური მიზეზი არ ყოფილა. ახალგორში მოუვიდათ კონფლიქტი და ცხინვალში გადაყვანის შემდეგ დაიწყო პრობლემები.

***– კონფლიქტი ვისთან მოუვიდათ, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან?***

– ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან არა, ახალგორის ე.წ. საოკუპაციო საზღვარზე სამართალდამცავებთან, სადაც საქონელი შეჰქონდათ.

***– თქვენი ორგანიზაცია რაზე მუშაობს?***

– ჩვენი ორგანიზაცია მუშაობს ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე.

***– ოსურ ორგანიზაციებთან მუშაობთ?***

– რეალურად, ცხინვალში ოსური ორგანიზაციები აღარ დარჩა, იმიტომ რომ გააუქმეს. სამოქალაქო აქტივობაში ვინც არის ჩართული, აბსოლუტურად ყველასთან გვაქვს ურთიერთობა, თანაც – ყოველდღიური.

***– ბატონო ზურაბ, მოგეხსენებათ, ჩვენი მოთხოვნების შემდეგ ცხედარი გადმოეცათ, ცხინვალშიც გაიმართა აქცია. გარკვეულმა პირებმა მოითხოვეს, ჩვენთვის ტატუნაშვილის ცხედარი არ გადმოეცათ. ვინ იყვნენ ის ადამიანები? ამაზე რას გეუბნებიან ის პირები, რომლებსაც თქვენ უკავშირდებით ცხინვალში?***

– აქციაზე ასეთი მოთხოვნა არ ყოფილა, რომ ცხედარი არ გადმოეცათ. ის აქცია ცხინვალში ცხედრის გადმოცემის წინააღმდეგ არ გამართულა. ეს მცდარი ინფორმაცია იყო. მცდარი ინფორმაცია რუსულმა „სპუტნიკმა“ გაავრცელა. აქედან გამომდინარე, ძირითადი მიზანია, გაართულონ ურთიერთობები და პროვოკაციები დათესონ. აქციაზე ჰქონდათ მოთხოვნა, ჩვენც გვყავს დაკარგულები, რაც არავის ახსოვს, როცა ერთ ქართველ დაღუპულზე ამდენი ამბავიაო. უნდოდათ, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიეპყროთ.

***– უგზო-უკვლოდ დაკარგულები ჰყავთ?***

– როგორ არა, 2008 წლის ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულები ჰყავთ. ერთ-ერთი ჩვენებს ჰყავდათ პატიმრად. ამაზე ინფორმაცია იუთუბზეც დევს, მაგრამ ახლა ვერ პოულობენ.

***– ჩვენებს თუ ჰყავდათ, ახლა როგორ ვერ პოულობენ?***

– არ ვიცი. ამ საქმეში ჰამერბერგი იყო ჩართული. ჰამერბერგს მეც შევხვდი. მიშას ხელისუფლების დროს მეტ-ნაკლებად იჩქმალებოდა ეს ფაქტი, შემდეგ კი კვალი გაქრა.

***– ოსების მხრიდან რამდენი კაცი იქნება უგზო-უკვლოდ დაკარგული?***

– საკმაოდ ბევრი. 1990 წლიდან მოყოლებული, 100-ზე მეტი ადამიანია დაკარგული.

***– იქნებ წავიდნენ საქართველოდან, გადავიდნენ ვლადიკავკაზში. თუ ჩვენ მხარეს არიან, მაშინ როგორ ვერ ვპოულობთ?***

– არ ვიცი. ხომ იცით, მაშინ რა ვითარება იყო. ადამიანებს იჭერდნენ და უსწორდებოდნენ, სამწუხაროდ.

***– ორივე მხრიდან იყო ასეთი ფაქტები?***



– დიახ, სამწუხაროდ. ცხინვალში აქცია ძალით ჩაატარებინეს, მოსახლეობას მონაწილეობა არ მიუღია. რაც ყველაზე ამაზრზენია, ამაში სკოლის მოსწავლეები გამოიყენეს. ისინი იძულებული იყვნენ, აქციაზე მისულიყვნენ. იქაური საზოგადოების მხრიდან აბსოლუტურად ჯანსაღი დამოკიდებულებაა, ძალიან უარყოფითად აფასებენ ამ ყველაფერს. ძალიან ამაზრზენი ფაქტია ჯერ ის, რაც მოხდა, მერე კი, როცა გვამით ვაჭრობას იწყებ და გვამს აპატიმრებ. ეს უკვე კვალის დაფარვა აღარ არის, გაცილებით მეტი შეურაცხყოფა და მაიმუნობაა. რუსეთს შეიძლება ნაკლებად აინტერესებდეს, კვალი დაიფარა თუ არა, ვიდრე ის, რომ ოსებმა მოკლეს.

***– გამოითქვა მოსაზრება, ოსური რეჟიმის წარმომადგენლებს უნდოდათ, ტატუნაშვილისთვის ეთქმევინებინათ, თითქოს რაღაცის აფეთქება უნდოდა, ჩაეწერათ, შეექმნათ დოკუმენტი და წინასაარჩევნოდ პუტინისთვის მიერთმიათ.***

– ეს სუფთა ჭორაობის დონეზე ითქვა. თითქოს უნდოდათ ვინმეს დაჭერა, რომელსაც ათქმევინებდნენ, რომ ცხინვალში არჩევნების ჩაშლა უნდოდა. თვითმხილველების მოყოლით ვიცი, რომ ე.წ. საზღვართან სამართალდამცავებთან მოუვიდა შელაპარაკება.

***– მოგეხსენებათ, ცხინვალში არსებული ე.წ. სტრუქტურები რუსეთმა მიიერთა. თუ იცით, ოსების აზრი როგორია რუსეთის ამ ქმედებაზე? რუსეთმა რომ მიიერთა მათი ე.წ. სტრუქტურები, ამით ოსები კმაყოფილი არიან?***

– მათი სტრუქტურები რუსეთმა რომ მიიერთა, ამით ოსებიც უკმაყოფილო არიან. ძალიან ბევრი მათი სახელიანი ადამიანი უმუშევარი დარჩა, ჩამოქვეითდა და რუსების სამსახურში ჩადგა. არ მოსწონთ რუსების დამოკიდებულება ზოგადად მათი და მოსახლეობის მიმართ, მაგრამ ოსებს თავს ზემოთ ძალა არ აქვთ, ყველა საარსებო კაპიკს რუსეთიდან იღებენ. იქიდან გამომდინარე, რაც გააკეთა რუსეთმა 2008 წელს, იძულებული არიან, თავი დაუხარონ, თორემ, დამერწმუნეთ, ძალიან ბედნიერი ოსი მოსახლეობაც არ არის.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ ივანიშვილისგან დისტანცირებას ცდილობს“

## რატომ გადაიფიქრა მმართველმა გუნდმა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ კანონის მიღება




შორენა მარსაგიშვილი

**რა საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა, რატომ გაიწვია „ოცნებამ" რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ კანონპროექტი, რას უნდა მიაქციოს მმართველმა გუნდმა ყურადღება? – ამის შესახებ „ახალ თაობას" უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.**

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– რამდენიმე წლის წინ ჩვენ პარლამენტში განსახილველად შევიტანეთ კანონპროექტი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ. ამაში ჩართული იყო ზვიად ტომარაძეც. საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტს დეპუტატმა, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო ჯაჭვლიანმა მიმართა.

პარლამენტი ამ კანონპროექტის განხილვას შეუდგა და დეპუტატებთან ერთად საკმაოდ ნაყოფიერად ვმუშაობდით. მისი განხილვა შედგა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე, სადაც დეპუტატებმა კანონპროექტს მხარი დაუჭირეს.

ფორმულირება ასეთი იყო – რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა უნდა ყოფილიყო დასჯადი. პირველ ჯერზე ფულადი ჯარიმა განისაზღვრა 300 ლარით, მეორე ჯერზე – 600 ლარით.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტის განხილვა იურიდიულ კომიტეტში უნდა მომხდარიყო. როგორც მოსალოდნელი იყო, სოდომისტურმა და ლიბერასტულმა არასამთავრობოებმა ამაზე წივილ-კივილი ატეხეს, ამბობდნენ, ამის გაკეთება როგორ შეიძლება, ეს ადამიანის უფლებების შელახვა და გამოხატვის თავისუფლების შებღალვააო.

ჩვენი ინიციატივა ძალიან სწორად შეაფასა საქართველოს მთავარმა მუფტმა და მანაც დაუჭირა მხარი. ჩვენ მხარეს იყო საზოგადოების დიდი ნაწილიც.

ერთ მშვენიერ დღეს მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ – სოსო ჯაჭვლიანმა ეს კანონპროექტი უკან გამოიწვია, რაც ჩვენთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო.

***– რატომ მოიქცა ჯაჭვლიანი ასე?***

– რატომ მოხდა, როგორ მოხდა, რამ აიძულა ეს კაცი, ასეთი ნაბიჯი გადაედგა, ამის განსჯა თქვენი მკითხველისთვის მიმინდვია. ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ხელისუფლებამ აღარ მოინდომა ამ კანონპროექტის განხილვა. ეტყობა, ვიღაცებმა ყური აუწიეს.

***– ვის უნდა აეწია ყური?***

– დასავლეთიდან მოვლენილმა ემისრებმა. ასეთები პარლამენტშიც არიან და უფროსებად გვყავს დანიშნული იან კელის სახით. ასეთმა უფროსებმა უთხრეს „ქართულ ოცნებას“ – რა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, თქვენ ხომ არ გაყრიალებთო. ჯაჭვლიანი მაშინ „ოცნების“ დეპუტატი იყო და ინიციატივა უკან გაიხმო.

მაშინ ეს კანონპროექტი რომ მიგვეღო, ის, რაც 19 მარტს რუსთავი 2-ის ოფისთან მოხდა, არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა. გიორგი გაბუნიას დააჯარიმებდნენ ადმინისტრაციული წესით, ტელეკომპანია ბოდიშს მოიხდიდა. ყველაფერი ამით დასრულდებოდა.

ასეთი ინციდენტებისგან არც მომავალში ვართ დაზღვეული. მედიასაშუალებების ნაწილი ქართულ შარლი ებდოდ გადაიქცა. იმას, რაც გაბუნიამ გააკეთა, მალე სხვებიც გაიმეორებენ და ეს დაუსრულებლად გაგრძელდება.

***– ვინ უნდა განსაზღვროს, მოხდა თუ არა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა?***

– ქრისტეს რომ ეხებიან, ეს უკვე რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაა. გაბუნიას სასულიერო პირზე რომ ეთქვა რამე, კიდევ ეჭვს შევიტანდი, მაგრამ უფალს შეეხო.

***– საზოგადოების ნაწილს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ეს იყო ბიძინა ივანიშვილის დაცინვა. ივანიშვილი კი ღმერთი არ არის.***

– არა, არა, უფალზე თქვა. ივანიშვილსაც დასცინა. რადგან ეს ადამიანი ვახსენეთ, ბარემ გეტყვით, ძალიან თვალშისაცემია, ამაზე „ოცნების“ წევრები შეშფოთებას რომ არ გამოთქვამენ. „ოცნებიდან“ ვიღაცები მისგან დისტანცირებას რომ ცდილობენ, ეს ცალკე თემაა.

***– ვინ ახდენს მისგან დისტანცირებას?***

– როგორც უკვე გითხარით, ეს სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს. ის აშკარაა, რომ ვიღაცები მისგან დისტანცირებას ცდილობენ, ისე იქცევიან, თითქოს ბიძინას გარეშე წამოსკუპდნენ პარლამენტში.

ისევ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაზე გადავიდეთ. ჩვენ მიერ მომზადებულ კანონპროექტში მხოლოდ ქრისტიანების გრძნობების შეურაცხყოფაზე არ ყოფილა საუბარი. ეს კანონპროექტი ყველა რელიგიურ მიმდინარეობას შეეხებოდა. არავისი რელიგიური გრძნობა არ უნდა შეილახოს.

მიუღებელი და მუსლიმების შეურაცხყოფა იყო, ქობულეთში მეჩეთში ღორის თავი რომ დაკიდეს. ამიტომაც იყო, რომ ქვეყნის მთავარმა მუფტმა ჩვენ დაგვიჭირა მხარი.

ხელისუფლება რას აკეთებს? – იღებს გენდერულ კვოტებს. ეს ფემინისტი ქალები იმას კი არ ითხოვენ, ჯარში გაგვიწვიეთო, ითხოვენ, პარლამენტში წამოგვასკუპეთო.

***– ფემინისტმა ქალებმა რომ მოითხოვონ ჯარში სამსახური, ამაზე ქართველი კაცები დიდ ამბავს ატეხთ. თავად თქვენ დაუჭერთ ამას მხარს?***

– აქ საქმე ის არ არის, მე დავუჭერ თუ არა მხარს. საქმე ფემინისტების დამოკიდებულებაა. ისრაელში ქალები ჩვეულებრივად მსახურობენ არმიაში. საქართველოშიც ასე იყო – ქვეყანას როცა უჭირდა, ქალებიც იღებდნენ ხელში იარაღს.

მე არ ვამბობ რომ ფემინისტებმა მაინცდამაინც თოფი აიღონ ხელში. ჯარი ძალიან ფართო ცნებაა და ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ, მაგრამ არა, ამ ქალებს ქვეყნის სამსახურში ყოფნა არ სურთ. მათთვის მთავარი პარლამენტია.

ჩვენი კანონპროექტი უკან იქნა გამოწვეული, რაც რელიგიურ ნიადაგზე შუღლს კიდევ უფრო გააღვივებს. შარლი ებდოს მსგავსი ტელევიზიები არ დაისვენებენ და ეს ძალადობა გაგრძელდება. დღეს ქართული მარში მივარდა, ხვალ ხალხი მივარდება. არ დაგავიწყდეთ, ჩვენ ის ხალხი ვართ, რომლისთვისაც რელიგია უმთავრესია. ჩვენ ის ხალხი ვართ, რომელიც მზად არის, მოკვდეს, მაგრამ ხატებს არ დააბიჯოს.

***– ჩვენ ის ხალხიც ვართ, რომელმაც ეკლესიები დაარბია და პატრიარქი მოკლა.***

– ეგ ჩვენ არ გაგვიკეთებია. ეს საშინელება წითელმა ბოლშევიკებმა ჩაიდინეს. მათ ეკლესიები რუსეთშიც დაარბიეს და მირონცხებული მეფე დახვრიტეს.

ჩვენ ბევრი შეცდომა დავუშვით, მაგრამ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას არავის ვპატიობთ. ქრისტიანობა კი მოითხოვს მოთმენას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა თავზე დაგვაჯდეს. ჩვენ აუცილებლად დავიცავთ ჩვენს რელიგიას. ქრისტიანობა მებრძოლი რელიგიაა.

ჩვენ დღეს სოდომიზმისა და შარლი ებდოს გაფურჩქნის ეპოქაში ვცხოვრობთ და შესაძლოა, აქაც ისეთივე ტრაგედია მოხდეს, როგორიც საფრანგეთში დატრიალდა. ვინ არის გარანტი, რომ მედია ხვალ ქრისტეზე კარიკატურას არ გამოაქვეყნებს ან თავიანთ სულელურ ფილმებში არ იხუმრებენ უშნოდ?! ამის აღკვეთა მხოლოდ კანონით შეიძლება.

ის, რაც 19 მარტს რუსთავი 2-თან მოხდა, მთლიანად ხელისუფლების ბრალია და მან უნდა აიღოს ამაზე პასუხისმგებლობა.

– რუსთავი 2-ც მაგას ამბობს.

– მე არ ვამბობ რომ ამის უკან ხელისუფლება დგას. მე ხელისუფლების სოროსისტულ ნაწილს ვაკისრებ პასუხისმგებლობას, რომელმაც არ დაუშვა ჩვენ მიერ მომზადებული კანონის მიღება.

– აკი ჯაჭვლიანმა გაიტანაო?

– ჯაჭვლიანი იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო. „ოცნების“ დიდი ნაწილი მხარს უჭერდა ამ კანონს, მაგრამ გარედან მოსეულმა ემისრებმა ჩაშალეს ეს მნიშვნელოვანი საქმე, რაც საქართველოს ცუდის მეტს არაფერს მოუტანს.

კიდევ ერთხელ გეუბნებით, აქ უარესები მოხდება. შარლი ებდოები არ გაჩერდებიან. ქართველი ხალხი კი ქრისტეს შეურაცხყოფას არ დაუშვებს. ამას მეც გავაპროტესტებ. ამასთან, ხაზგასმით ვამბობ, რომ ყველანაირ ფიზიკურ ძალადობას ვგმობ, მაგრამ ვიღაცა ვერ მოითმენს და ფიზიკურ ძალადობაზე გადავა.

ამიტომ პარლამენტს მოვუწოდებ, გენდერმენდერებს დაანებოს თავი და მიხედოს ამ კანონს. საქართველოში ვიღაც-ვიღაცების ერთ ადგილზე მეტად რელიგიური გრძნობები უნდა ფასობდეს, მით უმეტეს, რომ სექსუალურ უმცირესობებს აქ არავინ ჩაგრავდა.

რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ კანონს თუ არ მივიღებთ, აქ სისხლის გუბეები დადგება.

# თორნიკე შარაშენიძე: „ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩვენი სპეცსამსახურები უნდა გააქტიურდნენ“

ნათია ხურცილავა

**საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე საუბრობს.**



***– ბატონო თორნიკე, პარლამენტი ერთობლივ რეზოლუციას მიიღებს და „ტატუნაშვილი-ოთხოზორიას სიაც იქნება“. თუმცა, აღსრულების კუთხით რა სამუშაოები უნდა იქნას შესრულებული, რომ რეზოლუცია რეზოლუციად არ დარჩეს?***

– რა თქმა უნდა, სამუშაოები იქნება ჩასატარებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში რეზოლუცია დარჩება ფარატინა ქაღალდად. თუ ვითარებას რეალურად შევხედავთ, შექმნილ ვითარებაში რა შეუძლია საქართველოს? საქართველოს მხოლოდ ერთი რაღაც შეუძლია – სპეცსამსახურები გააქტიურდნენ. ასევე, შეგვიძლია ჩვენ მოვითხოვოთ, რომ ბრალდებულები და მსჯავრდებულები ინტერპოლით ძებნილთა სიაში ჩასვან, რომ მათ მოგზაურობა, სიარული აეკრძალოთ.

რაც შეეხება ერთობლივად მიღებულ რეზოლუციას, ჩვენს ევროპელ პარტნიორებს მოეწონებათ, რომ ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა, რაღაც კონსენსუს მივაღწიეთ და ჩვენი პოლიტიკოსები ერთმანეთს აღარ ჭამენ. პირდაპირ ვიტყვი, აღარ ჭამენ ერთმანეთს, რაც შიდა პოლიტიკის სერიოზული პრობლემაა. თუმცა, რეალური ეფექტი იმდენი არ ექნება, რამდენიც იმ ზომას, რასაც სპეცსამსახურების გააქტიურება ჰქვია. ვიმეორებ, უფრო ეფექტური იქნება მოხდეს ის, რასაც წინა ხელისუფლება აკეთებდა.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ ჩვენი სპეცსამსახურები ჩავიდოდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე და იმ სეპარატისტებს, ვინც ჩვენს ქართველს აწამებდა ან მოკლავდა, აქ ჩამოჰყავდათ და საკადრის პასუხსაც სცემდნენ. ეს ამ ვითარებაში სრულიად ადეკვატური ქმედებაა.

***– რამდენად ეფექტური იქნება, „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ შეყვანილ ადამიანებს სანქციები დაუწესდეთ, ამ მიმართულებით იმუშაოს მთავრობამ ევროკავშირთან, სახელმწიფო დეპარტამენტთან?***

– რეალისტები ვიყოთ, რა სანქციები უნდა დაუწესოს, მაგალითად, ამერიკამ ამ ადამიანებს, ადამიანებს, რომლებიც ალბათ თავის სიცოცხლეში ვერასდროს ვერ ჩავლენ ამერიკაში. ამიტომ, ამ ხალხს ვერც ევროკავშირის და ვერც ამერიკის სანქციებით ვერ შეაშინებთ. შესაბამისად, ამ ხალხს ბევრად უფრო ჩვენი მხრიდან ქმედითი ღონისძიებით შეაშინებ, თუნდაც ისეთით, როგორიც არის, მოკიდო ხელი ქეჩოში და აქ ჩამოიყვანო და პასუხიც აქ მიიღოს. ეს უფრო შეაშინებს მათ, ვიდრე ნებისმიერ დონეზე დაწესებული სანქციები. ბევრი ვერც მოგზაურობს, ეს ხალხი ცხინვალსა და სოხუმს არ არიან გაცდენილები და მათზე ამერიკისა და ევროკავშირის ქვეყნების სანქციებს რა გავლენა ექნება?!

***– ამ შემთხვევაში სპეცსამსახურების, სუსის სამუშაო უფრო დიდია?***

– დიახ, რა თქმა უნდა!

***– მახსოვს, 90-იან წლებში, მაგალითად, გალის ტერიტორიაზე ვითარება როდესაც დაიძაბებოდა, არაოფიციალურ დონეზე ვიღაცები შედიოდნენ და ერთგვარად არეგულირებდნენ ვითარებას. დღეს, რამდენად რეალისტური შეიძლება იყოს ამის დაბრუნება?***

– ეს უნდა გაკეთდეს სუსის, სპეცსამსახურების დონეზე. როდესაც ირაკლი ღარიბაშვილმა წამების კადრები ააფრიალა, დღეს როგორც ირკვევა, წამება ხდებოდა იმათი, ვინც სწორედ გალელ ქართველებს აწიოკებდა. სხვა საკითხია, ზოგადად წამება რამდენად შეიძლება იყოს ადამიანური და რამდენად მისაღები, მაგრამ ეს ის ხალხი იყო, ვინც ჩვენს ქართველებს გალში ფიზიკურად უსწორდებოდნენ, კლავდნენ და აწიოკებდნენ. ცხადია, ეს სულაც არ არის მისასალმებელი, პირიქით, დასაგმობია, მაგრამ ჩვენი ტერიტორიები არის ოკუპირებული, ფაქტიურად სახელმწიფო საომარ ვითარებაში არის, ამ დროს, გინდა არ გინდა, მსგავს ფაქტებს ადგილი აქვს ხოლმე.

***– თქვენ ოკუპირებულ რეგიონებში სპეცსამსახურების გააქტიურებაზე საუბრობდით, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს შეიძლება გამაღიზიანებელი ფაქტორი აღმოჩნდეს რუსეთისთვის?***

– ყველაფერს აქვს საზღვარი. გამაღიზიანებელი ფაქტორი როგორ შეიძლება იყოს, როდესაც ე.წ. წითელი ხაზები არსებობს და ამ წითელი ხაზების გადმოკვეთა აღარ უნდა მოხდეს. არ უნდა მოკლას, არ უნდა მოიტაცოს ქართველი ოსმა და აფხაზმა, მეტს ხომ არაფერს არ ვითხოვთ?! ეს უნდა გაიგოს რუსეთმა, რუსეთს უნდა გავაგებინოთ, რომ ეს მაინც გააკონტროლონ, რომ ქართველი მოქალაქეები არ მოგვიკლან. თუ მოკლავენ, მერე ჩვენც გარკვეულ ზომებს მივიღებთ, ეს უნდა გავაგებინოთ რუსეთს.

# ხათუნა ხოფერია: „სახალხო დამცველი ადამიანების ბედით არ უნდა მანიპულირებდეს“

ნონა ცაბაძე



**„ახალი თაობის“ კითხვებს ხათუნა ხოფერია პასუხობს.**

***– ქალბატონო ხათუნა, საზოგადოებრივი მაუწყებლის და მისი სამეთვალყურეო საბჭოს ირგვლივ სკანდალები არ წყდება. არაერთი შეფასება მოვისმინეთ ზვიად დევდარიანთან დაკავშირებით. ვნახეთ, როგორ დაირაზმა მის წინააღმდეგ არაერთი ქალთა მოძრაობა. სოციალური ქსელით მას განაჩენიც გამოუტანეს. ამ თემაზე წავიკითხე თქვენი სტატუსიც. რისი თქმა შეგიძლიათ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

– მე არა მაქვს ღრმა წვდომა ამ საკითხზე. არც ბრალდებები არ მინახავს. თუ არ ჩავთვლით იმ ანონიმურ წერილებს და საერთოდ არსებობს ამ დევდარიანზე რამე სერიოზული მტკიცებულება?! ჩემთვის მთავარი არის ერთი რამ, რომ ჩვენ პრაქტიკულად ძალიან მივუშვით ეს ლიბერალური ფრთა. თავისი ენჯეოებით, თავისი პოლიტიკური პარტიებით...

***– რას ნიშნავს მივუშვით?***

– ანუ შევუქმენით სივრცე, რომელშიც მათ ჰქონდათ უფლება, რომ ეს თავისი აზრები თავს მოეხვიათ საზოგადოებისთვის. სხვათა შორის, საზოგადოების სრულიად დაუცველი ფენისთვის, როგორიც არიან ჩვენი შვილები, შვილიშვილები. სხვათა შორის, სექსუალური უმცირესობები. ისინი ძალიან მგრძნობიარეები არიან. ჩვენ კი მივეცით მათთან კონტაქტის და მათი გავლენის ქვეშ მოქცევის საშუალება. საბოლოო ჯამში კი მივიღეთ სურათი, რომ ამ ადამიანებმა სრული დისკრედიტაცია გაუწიეს თვითონ ლიბერალიზმს. აი ამ ცნებას.

***– სხვა რამეს გულისხმობს ლიბერალიზმი?***

– დიახ, თავის არსში ეს სულ სხვა რამეს ნიშნავს, თვითონ სიტყვა „ლიბერალიც“ თავისუფლებას მოიცავს, მაგრამ არ შეიძლება ეს თავისუფლება გადიოდეს სხვა ადამიანების ღირსების შელახვაზე. არ შეიძლება გადიოდეს სხვა ადამიანების პირადი ცხოვრების მანიპულირებაზე! მათი უფლებების შელახვაზე! პრაქტიკულად მათ დაიჯერეს, რომ აქვთ ამისი უფლება. შექმნეს რაღაცა თავისი სივრცე, აი იმ სივრციდან შეურაცხყოფას აყენებდნენ, ღირსებას ულახავდნენ, პოლიტიკურად ძალადობდნენ ადამიანებზე!

***– ამას აკეთებენ ლიბერალიზმის სახელით? მათ სხვაგვარად ესმით ეს ცნება?***

– ლიბერალიზმი თავდაპირველად საფრანგეთიდან წამოვიდა და ის სრულიად სხვა რამეს მოიცავდა. ახლა ნეოლიბერალიზმი არის, არსებობს და ბევრად უფრო სხვაგვარად ესმით ეს თავისუფლება, მათ შორის შეერთებულ შტატებში, მათ შორის ევროპაში და, სხვათა შორის, არც იმაშია ცუდი არაფერი, როგორც იმათ ესმით. მთავარი არის, რომ აქ, ჩვენმა ადამიანებმა ეს გამოიყენეს არასწორად!

არ შეიძლება ის ბერკეტები, რომელიც შენს ხელშია, აქციო ფულის შოვნის საშუალებად, აქციო თანამდებობების დაკავების საშუალებად! ლიბერალიზმი, თავის თავში ხელისუფლებასთან ბრძოლას მოიცავს და ამათთვის ეს ლიბერალური ღირებულებები და ეს ენჯეოები, რომელიც მათ შეუქმნეს, დაუფინანსეს, გახდა ხელისუფლებში მოსასვლელი. თანამდებობაზე მოსვლის იარაღად იქცა და აი ეს არის უბედურება! მე პირადად, დავსჯიდი ყველა იმ ადამიანს, ვინც თვითონ ცნება ლიბერალიზმი შეურაცხყო.

***– ანუ ყველაფერი თანამდებობასა და ფულზე გადის?***

– დიახ, სამწუხაროდ, ჩვენთან ასეა. დავსჯიდი ყველას, ვინც გაუწია დისკრედიტაცია ლიბერალიზმს! მოდით შევხედოთ, რა თქმა უნდა, არის დემოკრატიული ღირებულებების დარღვევა ხელისუფლების მხრიდან, არის დარღვევები სამინისტროებში, იგივე საზოგადოებრივ მაუწყებელზე, რა თქმა უნდა, ბევრია შესადავებელი. შეიძლება ირღვეოდეს ადამიანის უფლებები, მაგრამ არ შეიძლება ამ ყველაფერთან ბრძოლა იმ მეთოდებით, რა მეთოდებითაც ამათ დაიწყეს.

***– ეს თქვენთვის მიუღებელია?***

– არამარტო ჩემთვის! საბოლოო ჯამში, თვითონ გაებნენ მათ მიერ დაგებულ ხაფანგში. ისევ თვითონ გაისვარნენ, გესმით?! იმდენად იყვნენ მობილიზებულები ადამიანების გასასვრელად, ეს მათი იარაღი იყო, ისინი ასე ფიქრობენ და მოქმედებენ: მე ვიტყვი და მერე იმან იმართლოს თავი! პრაქტიკულად მათ წაშალეს ზღვარი სიტყვის თავისუფლებასა და ცილისწამებას შორის! მათი მხრიდან რაც მოდის, ძირითადად ეს არის ცილისწამება! ეს არ არის სიტყვის თავისუფლება. სიტყვა მაშინ არის თავისუფალი, როდესაც ის მართალია! მხოლოდ მართალი სიტყვა შეიძლება იყოს თავისუფალი და არა ჭორი, არა სიბილწე და მიზანმიმართული დისკრედიტაცია!

***– რამდენად უხერხულ მდგომარეობაშია დღეს სახალხო დამცველი? ზვიად დევდარიანი ხომ მის მიერ წარდგენილი კანდიდატი იყო? დღეს ლომჯარია თავადვე უპირისპირდება დევდარიანს.***

– ძალიან უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი! სახალხო დამცველს კარგად უნდა ესმოდეს, რას ნიშნავს რომელიმე სამეთვალყურეო საბჭოში, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებელი, მიმღები, რეპროდუქტორი უნდა იყოს, ხალხის აზრის გამომხატველი, წარადგინო პიროვნება. სახალხო დამცველს უნდა ესმოდეს, როგორ უნდა მოხდეს ამ ადამიანების სელექცია, შერჩევა, რაზე დაყრდნობით უნდა აკეთებდეს ამას. დღეს ის კი არ არის პრობლემა, რომ მან დევდარიანი წარადგინა.

***– რა არის პრობლემა?***

– პრობლემა არის ის, რომ მან დევდარიანი შეარჩია! პრობლემა აი აქ არის, რა კრიტერიუმებით არჩევდა სახალხო დამცველი ამ პიროვნებას?! ზოგადად, როგორ უნდა ენდო ასეთ სახალხო დამცველს, რომელმაც პირველივე ასეთ წარდგენაზე დაგვაყენა ფაქტის წინაშე, რომ ის ნაკლებად ერკვევა ადამიანებში და ჰქვია სახალხო დამცველი! როგორ შეიძლება მან ჩემში რაღაცა კარგი დაინახოს. ვენდო, რომ დაინახავს?! მას არ სცოდნია ადამიანების შერჩევა. მთავარი მისი ფუნქცია ეს არის – კომუნიკაცია ადამიანებთან. ადამიანის ღირსების, ადამიანის ღირებულებების დაცვა. მან თურმე არ იცის, ეს რა არის!

***– დევდარიანის შემთხვევაზე მიანიშნებთ?***

– კიდევ ვიმეორებ, მე არ ვიცი, დევდარიანს რა აქვს ჩადენილი, ვერაფერს ვერ გეტყვით ამაზე. არანაირი სურვილი არა მაქვს, რომ დევდარიანის მეგობრებს დავემსგავსო, რომლებიც პოსტფაქტუმ აფურთხებენ, აგინებენ ამ პიროვნებას. ამის არანაირი სურვილი არა მაქვს, რომ ჩავერთო ადამიანის მკვლელობის საქმეში. ამ ადამიანს, როგორც პიროვნებას, კლავენ საკუთარი მეგობრები. ნამდვილად არ ჩავერთვები ამ პროცესში. თუმცაღა, თუ ის სიმართლეა, რაც ამ ადამიანზე თქვეს, რა თქმა უნდა, ლომჯარიასთან დაკავშირებით არის პრობლემა!

***– რამდენად დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ მისი, როგორც სახალხო დამცველის რეპუტაცია?***

– პირადად ჩემთვის დიდი ხანია დგას. როდესაც ირჩევდნენ ლომჯარიას, მაშინაც იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ. ლომჯარიასგან განსხვავებით, მაქვს მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება. ასევე იმის სურვილი, რომ წამეკითხა ფსიქოლოგიაზე წიგნები და შემესწავლა ადამიანის ბუნება. ამიტომ ჩემთვის გასაკვირი და ახალი ლომჯარიას მხრიდან არ მომხდარა. ჩემთვის ლომჯარია ვერასოდეს ვერ იქნება სახალხო დამცველი. არასოდეს მას არ ექნება ის ნდობა, ღმერთმა ნუ დამაჭიროს, რომ მას მივმართო.

***– ვისაც ჰქონდა მისი ნდობა?***

– ვისაც ჰქონდა ნდობა და მხარს უჭერდა, ახლა იმათ იფიქრონ, რამდენად გაამართლა ამ ადამიანმა. ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა და ძალიან ცუდია, ასე უაპელაციოდ შეგიძლია, რომ ადამიანი იყოს შენი მეგობარი, შენი თანამებრძოლი წლების განმავლობაში და აი ასე, უაპელაციოდ, ადგე და ტალახი ესროლო და განაჩენი გამოუტანო. სახალხო დამცველის მხრიდან, ასე უაპელაციოდ ადამიანის ბედით თამაში, ჩემთვის არის ძალიან ცუდი ფაქტი. არავის არა აქვს უფლება, ასე მანიპულირებდეს ადამიანის ბედით. ამ ადამიანს აქვს თავისი ცხოვრება. პირადად მე, სიამოვნებით ვაგებინებდი პასუხს ამ ადამიანებს იმ დანაშაულისთვის, რასაც ჰქვია ლიბერალიზმის ღირებულებების გაუფასურება და დისკრედიტაცია.

# „სითი პარკი“ ბიზნესომბუდსმენს მიმართავს და სათანადო რეაგირებას მოითხოვს




როგორც მოგეხსენებათ ა/წლის 13 მარტს სატელევიზიო ეთერის მეშვეობით დედაქალაქის მერმა, ბატონმა კახა კალაძემ გამოაცხადა ქალაქის მთავრობის გადაწყვეტილება შპს „სითი პარკ“-თან 2007 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა და შემდგომში სატელევიზიო განცხადება გაკეთდა კომპანიის ყოველგვარი წინასწარი ინფორმირების გარეშე, მაშინ როდესაც, კომპანიაში დასაქმებული ინსპექტორები დედაქალაქის ქუჩებში ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მიგვაჩნია, რომ ასეთი გადაწყვეტილებები არ შეიძლება ხელშემკვრელი მხარისათვის ცნობილი ხდებოდეს პირდაპირი ეთერების გზით, მერის ამ განცხადებამ საფრთხის ქვეშ დააყენა დასაქმებულ პირთა უსაფრთხოება და დრამატულად იმოქმედა კომპანიის საქმიანობის პროცესზე.

მიგვაჩნია, რომ თბილისის მერის, ბატონი კახა კალაძის გადაწყვეტილება შპს „სითი პარკ“-თან გაფორმებული ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ არის უკანონო, პოლიტიკურად მოტივირებული და ყველაზე უარესი მაგალითი იმისა, თუ როგორ ეპყრობა საქართველოს ხელისუფლება უცხოელ ინვესტორებს. ხელისუფლებამ იმოქმედა არაკეთილსინდისიერად, უგულებელჰყო ინვესტორის ხელშეკრულებითა და კანონით გარანტირებული უფლებები.

გაცნობებთ, რომ შპს „სითი პარკს“ ორი სარჩელი აქვს სასამართლოში შეტანილი დედაქალაქის მთავრობის წინააღმდეგ და დავობს მის მიმართ კანონდარღვევის აბსურდული ბრალდებების საკითხზე. მიუხედავად მერის განცხადებებისა, რომ ის კომპანიის წინააღმდეგ სამართლებრივ ჩარჩოებში იდავებდა, არც კი დაელოდა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებას. ხელისუფლება ცდილობდა შეექმნა სამართლებრივი პროცესის მხოლოდ ილუზია მაშინ, როდესაც საბოლოო შედეგი (ხელშეკრულების უკანონო შეწყვეტა კანონზე და სასამართლოზე მაღლა მდგომი კონკრეტული ჯგუფების ინტერესების გამო) წინასწარ იყო განსაზღვრული.

„სითი პარკი“ განიხილავს ყველა შესაძლებლობას და მიმართავს ყველა საშუალებას, რომელსაც მას ანიჭებს ქართული და საერთაშორისო სამართალი. კომპანიამ უკვე დაიწყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და კომპანიის მფლობელები ასევე ავრცელებენ ამ ინფორმაციას ისრაელის და საერთაშორისო ბიზნესსაზოგადოებაში. აღნიშნული, რა თქმა უნდა, ცალსახად უარყოფითად აისახება საქართველოს საინვესტიციო კლიმატზე, რაც, როგორც ჩანს, არ აღელვებთ ძალაუფლების მქონე ბიუროკრატებს, რომლებიც მოქმედებენ საკუთარი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე.

„საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბიზნესომბუდსმენი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და კანონიერების პრინციპებით.

სწორედ ამიტომ, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ შეძლებთ იმოქმედოთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში და უცხოელ ინვესტორებს მისცემთ ქვეყანაში ბიზნესსაქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას სამართლიან გარემოში. გთხოვთ, მოახდინოთ სათანადო რეაგირება, თქვენი სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, წერილში აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით.

# სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გაუმართაობაზე ჯარიმები 10 ათასი ლარიდან დაიწყება



სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გაუმართაობაზე ჯარიმები მკაცრდება. ჯარიმები დაახლოებით 10 ათასი ლარიდან დაიწყება. ასევე გაფართოვდება იმ ობიექტების სია, რომლებიც სახანძრო ზედამხედველობას დაექვემდებარება. საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე შალვა ხუციშვილმა ისაუბრა. ხუციშვილი განმარტავს, რომ ჯარიმების გაზრდასთან ერთად, შეიცვლება დამჯარიმებელი ორგანოც.

– ჩვენი ერთ-ერთი ნაბიჯი იქნება, რომ კანონპროექტის ფარგლებში გავზრდით ჯარიმების ოდენობას. თუმცა იმის გამო, რომ ჯარიმები გაიზრდება, ჩვენ აღარ ვიქნებით დამჯარიმებლები და სასამართლოს მივმართავთ ხოლმე. კონკრეტულ თანხაზე, თუ სადამდე გაიზრდება, საბოლოოდ ჯერ არ ვართ ჩამოყალიბებული და კონსულტაციები მიმდინარეობს, თუმცა ჯარიმები ალბათ, დაახლოებით, 10 ათასიდან დაიწყება. ჯარიმების ზრდასთან ერთად, გაიზრდება იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარება სახანძრო ზედამხედველობას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება სასტუმროებისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე, როგორიცაა სავაჭრო კომპლექსები და ა.შ. გარდა ამისა, მაქსიმალურად გავზრდით შესაძლებლობებს იმისთვის, რომ კვალიფიციური პერსონალი მოვიზიდოთ, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებს, – განაცხადა შალვა ხუციშვილმა და აქვე დასძინა, რომ სახანძრო ზედამხედველობის კუთხით, უწყებაში ცალკე სტრუქტურული ერთეულის შექმნა განიხილება.

# ბოლო ორ წელში ექსპორტის რუსეთზე დამოკიდებულება გასამმაგდა




2018 წლის იანვარ-თებერვალში რუსეთში განხორციელებულმა ექსპორტმა 61 მლნ დოლარი შეადგინა.

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, რუსეთი საქართველოსთვის ტოპ-საექსპორტო ქვეყნების ათეულის სათავეშია.

უწყების მონაცემებით, 2017 წლის ორ თვესთან შედარებით, რუსეთში ექსპორტი უმნიშვნელოდ გაიზარდა, 58 მლნ დოლარიდან 61 მლნ დოლარამდე, მაგრამ 2016 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოდან რუსეთში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა მხოლოდ 22 მლნ დოლარს შეადგენდა.

ცნობისთვის: 2018 წლის იანვარ-თებერვალში ტოპ-საექსპორტო ქვეყნების ათეულში მეორე პოზიციაზეა თურქეთი (54 მლნ დოლარი), მესამეზე კი – აზერბაიჯანი (44 მლნ დოლარი). ხუთეულს ბულგარეთი და სომხეთი ასრულებენ.

# ანდრია გვიდიანი: „საპენსიო რეფორმის სოციალ-დემოკრატთა ვერსია ახალი ველოსიპედის გამოგონებაა“



ფრაქცია „ქართული ოცნება – სოციალ-დემოკრატები“ მთავრობას საპენსიო რეფორმის ალტერნატიულ მოდელს სთავაზობს.

პროექტი პარლამენტის წევრმა ბექა ნაცვლიშვილმა წარადგინა. მან ფრაქციის მიერ მომზადებული პროექტის საჯარო განხილვის გამართვა და საპენსიო რეფორმის პროცესის დროებით შეჩერება მოითხოვა.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ ბრიფინგზე საპენსიო რეფორმის ალტერნატიული მიდგომა წარმოადგინა და იმ განსხვავებებზე ისაუბრა, რომლებსაც აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს.

ფრაქციის მიერ მომზადებულ საპენსიო სქემა მრავალსვეტიანია და შემდეგ განსხვავებებს მოიცავს:

– 750 ათასი პენსიონერისთვისაც, რომლებიც დღეს არიან პენსიაზე, საბაზისო პენსია გაიზრდება ყოველწლიურად ქვეყანაში საშუალო ხელფასის ზრდის პროპორციულად და შეადგენს საშუალო ხელფასის მინიმუმ 17%-ს.

ჩვენი სქემის ცენტრალურ ღერძს წარმოადგენს მეორე სვეტი, რომელიც ეფუძნება თაობათა შორისი სოლიდარობის პრინციპს, სადაც პენსია გაიცემა მოქალაქის სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. მეორე სვეტი ფინანსდება დაუბეგრავი ხელფასის 2%+2% პრინციპით, სადაც მონაწილეობს, როგორც დამსაქმებელი, ისე სახელმწიფო. ეს სვეტი სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის, სანამ პენსიაზე არ გავა. რაც მთავარია, გაზრდილი პენსიის გაცემა მოხდება რეფორმის ამოქმედებიდან მეორე წელსვე და არა 25 წლიანი ლოდინის შემდეგ, როგორც ეს მთავრობის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტშია.

მესამე სვეტი გულისხმობს ინდივიდუალურ დაგროვებას – 2% კონტრიბუციის სახით – იქნება სავალდებულო ყველასათვის, ხოლო ნებაყოფლობითი – 50 წელს გადაცილებული დასაქმებულებისათვის, – აღნიშნა ბექა ნაცვლიშვილმა.

აღნიშნულ თემაზე „კომერსანტს“ ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ანალიტიკოსი ანდრია გვიდიანი ესაუბრა. როგორც გვიდიანი განმარტავს, სოციალ-დემოკრატების მიერ წამოყენებულ ინიციატივაში ბევრი საკითხი გაუგებარია. მისივე თქმით, ეს ყველაფერი ახალი ველოსიპედის გამოგონების მცდელობაა და არა საკითხზე მსჯელობა.

– ზოგადად ამ ინიციატივაში ბევრი საკითხი გაუგებარია, მაგალითად ის 17%-ი რაზეც საუბარია. რატომ არ დაასახელეს 20%, ან 25%? ანუ გაუგებარია ეს 17%-ი რა ლოგიკით მიიღეს.

ჩემი აზრით, დაგროვებითი საპენსიო სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლოვანება სავალდებულოობა, რომელიც მთავრობის მიერაა შემოთავაზებული. აღნიშნული ინიციატივით სავალდებულოობის კომპონენტი ისევ იგივე რჩება და ეს არსებულ სურათს არ ცვლის. ეს ინიციატივა ველოსიპედის ახლიდან გამოგონების მცდელობაა ვიდრე მსჯელობა, – აღნიშნა გვიდიანმა.

ანდრია გვიდიანის შეხედულება თაობათაშორის სოლიდარობის პრინციპთან დაკავშირებით უარყოფითია, რადგან, როგორც ის მიიჩნევს, ეს ახალი გადასახადის შემოღების მცდელობაა.

ანალიტიკოსი აღნიშნული ინიციატივით, მთავრობის მიერ შემოთავაზებულ საპენსიო რეფორმასთან მიმართებით განსხვავებულ მიდგომებს ვერ ხედავს.

– აქ საუბარია თაობათაშორის სოლიდარობის პრინციპის შემოღებასთან დაკავშირებით, რაც მცდარია ეს ახალი გადასახადის შემოღების მცდელობაა, რომელიც საპენსიო რეფორმის სახელსაა ამოფარებული . ეს რა თქმა უნდა, სწორი არაა და ამ მიდგომას არ ვიზიარებ. განსხვავებული მიდგომები მთავრობის მიერ შემოთავაზებულ რეფორმებსა და სოციალ-დემოკრატების მიერ წამოყენებულ ინიციატივას შორის ვერ დავინახე, – განაცხადა გვიდიანმა.

# ნიკა მელია: „ბოლნისის გადარჩენა უკვე შეუძლებელია. ყოველ მეათე ოჯახში სიმსივნით დაავადებული ადამიანია“

ნაციონალური მოძრაობის ლიდერი ნიკა მელია აცხადებს, რომ იმ სამუშაოების გამო, რომლებიც დმანისის რეგიონში მიმდინარეობს, იქ ცხოვრება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მელიას განცხადებით, ბოლნისში მცხოვრები ადამიანები მასობრივად არიან დაავადებული ონკოლოგიური დაავადებებით და არის ოჯახი, სადაც სიმსივნით დაავადებული ორი ადამიანი ცხოვრობს.



მელია იმ 16 ჰექტარზე საუბრობს, რომელიც აუქციონზე გასაყიდადაა გამოტანილი და ამბობს, რომ რეალურად ყველაფრის უკან ბიძინა ივანიშვილის ინტერესები დგას:

– 16 ჰექტარი ერთ ერთი კომპონენტია იმ დანაშაულებრივი საქმიანობისა, რომელსაც ვითომ კერძო კომპანია ეწევა და ვითომ ბატონი ტროცკი. რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის ინტერესია, ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გაბედა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხელისუფლების პირობებში იყო დაუოკებელი სურვილი სხვადასხვა პირის მხრიდან, რომ აეფეთქებინათ საყდრისი.

კობა მენაბდიშვილი აუცილებლად აგებს პასუხს უმკაცრესად. ამ ადამიანებს 40.000 ლარი აქვთ ხელფასი, თვეში. პოლიტიკური განცხადებებით გამოირჩეოდა და მისი ძმა „ქართული ოცნების“ წევრია დმანისის საკრებულოში, ამავე დროს არ ემ ჯის თანამშრომელია და ადგილზე ის პირდაპირ ინტერესებს ატარებს.

ბოლნისის გადარჩენა უკვე არის შეუძლებელი, იმიტომ რომ იქ რაც ხდება, თქვენი თვალით უნდა ნახოთ. ყოველ მეათე ოჯახში მასიურად სიმსივნით დაავადებული ადამიანები არიან. ერთ ოჯახში ორი სიმსივნით დაავადებული ვნახე პირადად და ბოლნისში, როდესაც ადამიანებს ჯანმრთელების პრობლემა აქვთ, პირველი არის ონკოლოგი, ვისთანაც მიდიან.

იმდენად დაბინძურებულია ყველაფერი, ნიადაგი, წყალი, ჰაერი, ეს ყველაფერი მერე ჩაედინება სამელიორაციო სისტემაში, ირწყვება სავარგულები, მერე ბოსტნეული თბილისშიც შემოდის. ტრაგედია ტრიალებს, მაგრამ დმანისის გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია. იმ 16 ჰექტარზე რაღაც ზღაპრებს რომ ყვებიან, გამობრძანდა ვიღაც დირექტორი ჯონი შუბითიძე, თურმე ხედავს გაერთიანებული ოპოზიციური პარტიების საქმიანობით ბიზნესინტერესების წინააღმდეგ მოქმედებას. ასეთი კადნიერება გინახავთ? ადამიანი, რომელიც ანადგურებს.

რატომ გვინდა, ეს 16 ჰექტარი რომ გამოვტაცოთ ვითომ კერძო კომპანიას, რეალურად ივანიშვილს, იმ 16 ჰექტარზე ციანიდირებულ ქანებს რომ დაყრიან, წარმოიდგინეთ, ისედაც რა დღეშია ბოლნისი, იქ არ შეიძლება ცხოვრება. თქვენ რომ იყოთ დღეს ბოლნისელი, დარწმუნებული ვარ, თქვენ ბოლნისში აღარ იცხოვრებდით. ვისაც წასასვლელი აქვს, ბოლნისიდან წასულია.

მთებია შეჭმული. ეს ადამიანები გამოირჩევიან წარმოუდგენელი თავხედობით, და ახლა ცდილობენ, დისკუსია გადაიყვანონ იმ ჭრილში, თითქოს ამ 16 ჰექტარზე არაფერი მიმდინარეობს და უსაგნო დავაში შემოდიან, – განაცხადა ნიკა მელიამ „ტვ პირველის“ ეთერში გადაცემა „დღის ამბებში“ საუბრისას.

# მერია ჰიბრიდული ავტომობილების შეძენას გეგმავს

თბილისის მერია 30 ერთეული ჰიბრიდული ავტომობილის შეძენას გეგმავს. მუნიციპალიტეტმა ამ მიზნით ტენდერი უკვე გამოაცხადა.

სულ გათვალისწინებულია 1 მილიონ 745 ათასი ლარის ავტომანქანების შეძენა. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით ავტომობილების ძრავის მოცულობა 1.6-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, 100 კმ-ზე 4 ლიტრზე მეტ საწვავს არ მოიხმარდეს და თეთრი ფერის უნდა იყოს. წინადადებების მიღება მომწოდებლებისთვის 30 მარტს დაიწყება, გამარჯვებულმა კომპანიამ კი შემსყიდველს მანქანები ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვეში უნდა მიაწოდოს.




# ირაკლი მაკალათია: „ინვესტიციები უნდა მოიზიდოს კერძო სექტორმა. ეკონომიკა ამ შემთხვევაში განვითარდება“




2017 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. როგორც პირველმა ვიცეპრემიერმა, ეკონომიკისა და მდგარი განვითარების მინისტრმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, გასულ წელს, საქართველოში 1.861 მილიარდი ამერიკული დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. 2016 წლის მონაცემებთან შედარებით, ინვესტიციები 16,2%-ით არის გაზრდილი.

ინვესტიციების ზრდის მიზეზშედეგობრივ კავშირზე რადიო „კომერსანტის“ ეთერში, გადაცემაში „კომერსანტის თემა“, ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის პრეზიდენტმა ირაკლი მაკალათიამ ისაუბრა.

– ინვესტიციების ზრდა ცალსახად დადებითად უნდა შევაფასოთ. თუმცა, სამწუხაროდ, ხშირად გვაქვს გადაჭარბებული და არარეალური მოლოდინები. ინვესტიციებს მაშინ მოაქვს ეკონომიკური შედეგი, თუ მას იზიდავს რეალური ეკონომიკის სექტორი, რომლის წარმატებული მუშაობის შედეგადაც იზრდება წარმოება, იზრდება პროდუქციის მოცულობა, დასაქმების დონე და ეკონომიკური მაჩვენებელიც. ჩვენ შემთხვევაში კი ინვესტიციები, ძირითადად, მიმართულია ინფრასტრუქტურულ პროექტებისკენ, – განაცხადა ირაკლი მაკალათიამ.

მაკალათია „კომერსანტთან“ იმ მიზეზებზეც საუბრობს, რამაც უცხოური ინვესტიციების ზრდა გამოიწვია. მისი თქმით, ეს განპირობებულია იმ პროექტებით, რომელსაც მეზობელი ქვეყნები ახორციელებენ ქვეყანაში.

– მთავარი ინვესტორი ქვეყანა არის აზერბაიჯანი, რომელიც ინვესტიციების მთლიან მაჩვენებელში 25 %-ს იკავებს. აღსანიშნავია ისიც, რომ 25%-ში უდიდესი წილი უჭირავს შაჰდენიზის მილსადენის პროექტს. სწორედ ამ პროექტში განხორციელებულმა დიდმა ინვესტიციებმა გამოიწვია ინვესტიციების მატება. ამასთან, არის ბევრი ქართული კომპანია, რომელიც ევროკავშირის ტერიტორიაზეა რეგისტრირებული და შესაბამისად, მათი ბრუნვის ნაწილი უცხოურ ინვესტიციებად აღიქმება, – განაცხადა ირაკლი მაკალათიამ.

ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის პრეზიდენტის თქმით, რეალური ეკონომიკის სექტორი ვერ იზიდავს შესაბამისი რაოდენობის ინვესტიციებს, რაც მათი წარმოების განვითარებას გამოიწვევდა.

ირაკლი მაკალათია ამბობს, რომ ძირითადი ინვესტიციები უნდა მოიზიდოს კერძო სექტორმა. მისივე თქმით, კერძო სექტორის წილი მაღალი უნდა იყოს საქართველოში, თუმცა დღეს მისი წილი მცირეა.

„ძირითადად, ინვესტიციები სახელმწიფოს დახმარებითა და მისი მეშვეობით შემოდის. ამ შემთხვევაში, უშუალო მესაკუთრე საკუთარი აქტივებით, ნაკლებადაა ჩართული პროცესში. თუ კერძო კაპიტალი მოიზიდავს ინვესტიციებს დღეს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვექნებოდა ვიდრე გვაქვს“, – განაცხადა ირაკლი მაკალათიამ.

ირაკლი მაკალათია გვიყვება, რომ ინვესტიციების შემოდინება გარკვეული პერიოდის შემდეგ ან დასრულდება ან გაგრძელდება. მთავარია, ექნება თუ არა ინვესტიციებს დარგობრივი მიმართულებები. მისი თქმით, ინვესტიციების ქვეყანაში შემოსვლის მიზანია, ქვეყანამ ეკონომიკური კეთილდღეობა მოიპოვოს, გაცილებით მეტი, ვიდრე დღეს.

– შაჰდენიზის მილსადენის პროექტის დასრულების შემდეგ ვვარაუდობთ, რომ მცირე პროექტების შემოდინება დაიწყება. წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. მილსადენის მშენებლობა ჩვენთვის რა თქმა უნდა კარგია, თუმცა აღნიშნული პროექტი არ ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, დამატებით საწარმოებს, რომლებიც თავის მხრივ ადამიანთა დასაქმების დამატებით პერსპექტივად და ეკონომიკური კეთილდღეობის საშუალება იქნება. აღსანიშნავია, რომ ინვესტიციების კვლავწარმოება კონკრეტულ დარგებში არ ხორციელდება. მაგალითად, კარგი და დადებითი ფაქტია, თუ ერთჯერადად გზა დაიგო, თუ ავტობანი აშენდა – მაგრამ, მომავალში, ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი ძვრების გამომწვევი მიზეზი მსგავსი პროექტები ვერ გახდება, – აცხადებს ირაკლი მაკალათია.

# ბათუმში მშენებარე კორპუსიდან მამაკაცი გადმოვარდა და გარდაიცვალა

ბათუმში მშენებარე კორპუსიდან 40 წლამდე მამაკაცი გადმოვარდა და გარდაიცვალა. შემთხვევა ლუკა ასათიანის ქუჩაზე მოხდა.




შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ნორმების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# სუიციდის მცდელობა გორში




სამედიცინო ცენტრ „გორმედში“ გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლიდან 50 წლამდე ასაკის მამაკაცი შეიყვანეს, რომელსაც გულმკერდის არეში სხვადასხვა სახის ჭრილობა აღენიშნება.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, მამაკაცმა თვითმკვლელობა სცადა და გულმკერდის არეში დაზიანება ჯერ ცეცხლსასროლი იარაღით, შემდეგ კი დანით მიიყენა.

„გორმედის“ ექიმ მერაბ მაისურაძის განცხადებით, პაციენტი რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

როგორც „ნიუპოსტს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 115 მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# საქართველოში სანთებელების კონტროლი ამოქმედდა



საქართველოში სანთებელების კონტროლი ამოქმედდა. ამის შესახებ ინფორმაციას სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ (მომხმარებელი.გე) ავრცელებს.

მათივე ცნობით, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება სანთებელების კონტროლი დაეწესებინა, რაც 2018 წლიდან ამოქმედდა. კერძოდ, დასაშვებია მხოლოდ ისეთი სანთებელას გაყიდვა, რომელიც დაპროექტებული და აწყობილია იმგვარად, რომ ჩვეულებრივი მოხმარების პირობებში შეუძლებელია მისი გამოყენება 51 თვეზე მცირე ასაკის (4.3 წელი) ბავშვის მიერ.

ცნობისთვის, ამ ვალდებულების შესრულებაზე კონტროლი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დაევალა, რომელმაც ისეთი სანთებელების ბაზრიდან ამოღება უნდა უზრუნველყოს, რომლებიც ზემოაღნიშნულ მოთხოვნას არ აკმაყოფილებენ.

ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ში ბავშვების მიერ სანთებელების გამოყენების შედეგად ყოველწლიურად დაახლოებით 5.000 ხანძარი ჩნდებოდა, რასაც დაახლოებით 1150 ადამიანის დაზიანება და 170 ადამიანის სიკვდილი მოჰყვებოდა. ამ საფრთხის შესამცირებლად აშშ-ში აკრძალეს ისეთი სანთებელების გაყიდვა, რომელთა ანთებაც მცირეწლოვან ბავშვებს შეეძლოთ. ამან ხანძრებისა და მათგან გამოწვეული ზიანის 60%-ით შემცირება გამოიწვია. მოგვიანებით ასეთივე აკრძალვა დაწესდა ევროკავშირის ქვეყნებში.

საქართველოში გახშირებული ხანძრების ფონზე, ვფიქრობთ გამართლებულია ისეთი ზომის მიღება, რომლებიც ხანძრის საშიშროებას შეამცირებს.

ასე რომ, თუ წააწყდებით ისეთ სანთებელას, რომელიც ადვილად არ ინთება, იცოდეთ, რომ ეს შეიძლება არა ტექნიკური წუნი იყოს, არამედ უსაფრთხოების ზომა. ამავე დროს, თუკი ნახავთ, რომ იყიდება ისეთი სანთებელა, რომლის ანთებაც მცირეწლოვან ბავშვს შეუძლია, ეს სავარაუდოდ, კანონდარღვევაა. გთხოვთ სამოქალაქო პასუხისმგებლობა გამოიჩინოთ და ასეთი ფაქტების შესახებ აცნობოთ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს, – ნათქვამია მომხმარებელი.გე-ს ინფორმაციაში.

სანთებელების კონტროლის შესახებ დადგენილება, რომელიც 2018 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა, მთავრობამ 2016 წელს მიიღო.

დადგენილების თანახმად, მწარმოებელმა, სანთებელას ბაზარზე განთავსების მიზნით, შემდეგი პირობები უნდა დააკმაყოფილოს: შეინახოს და, მოთხოვნის შემთხვევაში, უფლებამოსილ ორგანოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს ბავშვის მოხმარებისთვის რეზისტენტულობაზე ჩატარებული გამოცდის ანგარიში სანთებელას ყველა მოდელზე და ასევე იმ სანთებელას ნიმუში, რომელზეც ჩატარდა გამოცდა, ბაზარზე განთავსებული სანთებელების მოდელის ბავშვების მოხმარებისთვის რეზისტენტულობის დასადასტურებლად;

უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, დაადასტუროს, რომ ბაზარზე განთავსებული ყველა სანთებელა თითოეულ პარტიაში შეესაბამება გამოცდილ მოდელებს და, მოთხოვნის შემთხვევაში, უფლებამოსილ ორგანოს წარუდგინოს დოკუმენტაცია გამოცდის შესახებ და ასეთი გამოცდის განმახორციელებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; მუდმივად განახორციელოს ზედამხედველობა წარმოებული სანთებელების იმ ტექნიკურ გადაწყვეტილებებთან შესაბამისობაზე, რომელიც უზრუნველყოფს სანთებელას რეზისტენტულობას ბავშვებისთვის მოხმარებაზე, გამოიყენოს შესაბამისი გამოცდის მეთოდები და შეინარჩუნოს უფლებამოსილი ორგანოს დაკვირვების ქვეშ წარმოების ჩანაწერები, იმისათვის, რომ დაადასტუროს ყველა წარმოებული სანთებელას შესაბამისობა გამოცდილ მოდელთან;

შეინახოს და მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წარუდგინოს უფლებამოსილ ორგანოს ახალი ანგარიში სანთებელას ბავშვის მოხმარებისათვის რეზისტენტულობაზე, იმ შემთხვევაში, თუ სანთებელას სერტიფიცირებულ მოდელში განახორციელა ისეთი ცვლილება, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოდელის შესაბამისობაზე ამ ტექნიკურ რეგლამენტთან.

ამასთან, დადგენილების თანახმად, დისტრიბუტორმა, უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე, დაუყოვნებლივ უნდა წარადგინოს აუცილებელი დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს სანთებელას მწარმოებლის მიკვლევადობასა და ნებისმიერი იმ პირის იდენტიფიცირებას, რომლისგანაც დისტრიბუტორს მიეწოდა ამ რეგლამენტით განსაზღვრული პროდუქტი.

# სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა 284 პირს დაეკისრა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევისთვის 2017 წლის განმავლობაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა 284 პირს დაეკისრა. როგორც „კომერსანტს“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან აცნობეს, სააგენტო მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილ ფაქტებზე ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და დადგენილი წესით აგზავნის სასამართლოში.

– სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ 2017 წელს შეადგინა 113 ოქმი. შესაბამისად, მათ საფუძველზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიეცა 284 პირი, მათ შორის, თანამდებობის პირები (შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის თავმჯდომარეები, სატენდერო კომისიის წევრები).

2018 წლის 20 მარტის მდგომარეობით, სასამართლომ დაადასტურა სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების კანონიერება 113-ვე შემთხვევაში და დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში სამართალდამრღვევ პირებს დააკისრა სხვადასხვა სიმძიმის სანქცია.

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევათა სპექტრი ძირითადად მოიცავდა სატენდერო კომისიების მიერ პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების არასათანადოდ შეფასებას, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალების არასწორად შერჩევას ან სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნურად დაყოფას მონეტარული ზღვრების თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე სატენდერო დოკუმენტაციის არასწორად შედგენას, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადების წესების დარღვევას და სხვა სამართალდარღვევებს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მომავალშიც აქტიურად გამოავლენს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს და მოახდენს ადეკვატურ რეაგირებას ყოველ ასეთ ფაქტთან დაკავშირებით. ამავდროულად, მოვუწოდებთ შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას განუხრელად დაიცვან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, – ნათქვამია შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციაში.

# „სასაკლაოები ვერ გასცემენ ცხვრის ხორცზე ცნობას, რომელიც სურსათის უვნებლობის სამსახურს აკმაყოფილებს“

რესტორან „კახელების“ დამფუძნებელი ჭიჭიკო გოლეთიანი „კომერსანტთან“ ქვეყანაში სასაკლაოებში არსებულ ხარვეზებზე საუბრობს. როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ თბილისში მდებარე ცნობილ რესტორნებსა და კაფეებში სურსათის ეროვნულმა სააგენტომ დარღვევები გამოავლინა. უწყების ცნობით, ობიექტებში – „კახელები“; „თაშრე“; რესტორანი „თევზის სახლი“; „კერია“ გამოვლინდა ჯანმრთელობის ნიშანდების გარეშე ხორცის რეალიზაცია, რის გამოც ისინი 1000 ლარით დაჯარიმდნენ.



როგორც გოლეთიანი აცხადებს, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებს ცხვრის ხორცის ვარგისიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარუდგინეს, თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მისი განცხადებით, ცნობას, (ფორმა 2) რის უქონლობის გამოც „კახელები“ დაჯარიმდა, გასცემს ცხოველების სასაკლაო, თუმცა, ორი ძირითადი სასაკლაო, თელეთსა და მარნეულში, ისეთი გადატვირთულია საექსპორტო ხორცზე მუშაობის გამო, რომ რესტორნებს ვერ ემსახურება.

– როდესაც ადამიანი ბაზარში ყიდულობს ხორცს, გაიცემა სახელმწიფოს მიერ ავტორიზირებული ლაბორატორიის დასკვნა ხორცის ვარგისიანობაზე. სურსათის უვნებლობის სამსახურმა კი ეს საბუთი საკმარისად არ ჩათვალა. მოითხოვეს ფორმა №2. სერვისები არ არის შექმნილი, ქვეყანაში არ არის ინფრასტრუქტურა განვითარებული და გვთხოვენ საბუთს, რომელსაც ვერ მოვიპოვებთ. ქვეყანაში არსებული სასაკლაოები ამბობენ, რომ ამ მიმართულებით არ მუშაობენ და შესაბამის ცნობას ვერ გასცემენ. ამ შემთხვევაში ჩვენ რა ვქნათ? – განმარტავს გოლეთიანი.

„კახელების“ დამფუძნებელი ვარაუდობს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი შექმნილ სიტუაციაზე შესაძლოა საქმის კურსში არ იყოს.

– ფიზიკურად აქედან მარნეულში, კუმისში წასვლა რთულია. ჩვენ 1 ცხვარი შეიძლება 2 დღე გვეყოს და ამაზე ამხელა გზა უნდა გავიაროთ? ხომ შეიძლება სასაკლაოები თბილისის მასშტაბით გაიხსნას. ეს ნებსით ხდება თუ უნებლიეთ, არ ვიცი. მე ლევან დავითაშვილთან მქონდა შეხვედრა, ის დიდი პროფესიონალია. ამიტომ, მგონია, რომ ან არ არის საქმის კურსში ამ სიტუაციაზე, ან მოვლენებს უსწრებენ წინ, – აცხადებს გოლეთიანი.

მისი განცხადებით, უახლოეს მომავალში იგეგმება ისეთი სტანდარტის შემოღება, რომელიც ხილბოსტნეულზე შესაბამისობის დოკუმენტის წარდგენას გულისხმობს.

– ჩვენ ვართ რესტორანი, რომელიც ორიენტირებულია ნატურალურ პროდუქტებზე. სეზონურად შემოგვაქვს ღანძილი, რომელიც იკრიფება მთიან რეგიონში. ამ დამაკავშირებელ ჯაჭვს წყვეტენ, თუ ფერმერმა მოიყვანა კიტრი და მწვანილი, ის ვერანაირ საბუთს ვერ მომცემს, ამიტომ მე მათგან პროდუქციის შესყიდვის უფლებას მართმევენ. გარდა ამისა, გაყინული იმპორტირებული 1 კილო ქათმის ხორცი 3 ლარი ღირს და მე რომ აქ ადგილობრივი წარმოების ქათამი დავაკვლევინო, საბუთში 3.50 ლარს მართმევენ. ნონსენსი არ არის? მე თუ ვერ ვიყიდი ბოსტნეულს, ხილს, რომელიც სოფელში მოყვანილია, ან ჩემს მიერ მოყვანილს ვერ შემოვიტან, რა ვქნა? აუცილებლად ქსელურ მარკეტში უნდა ვიყიდო? – აცხადებს გოლეთიანი.

მისი თქმით, რესტორან „კახელების“ საკუთრებაშია 55 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და სოფლის მეურნეობას ეწევა.

გოლეთიანი რამდენიმე დღის წინ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ „კახელების“ დაჯარიმებასაც ეხმაურება და განმარტავს, რომ ის არ აპირებს ამ ეტაპზე სააგენტოს მიერ გამოწერილი ჯარიმის გადახდას. „ხორცის ვარგისიანობას თავიდან დავადგენ და ამას გავასაჯაროებ. აქ საქმე ჯარიმაზე არ არის საქმე, საუბარია იმიჯის შელახვაზე. მე მივესალმები შემოწმებას და სახელმწიფოებრივ მიდგომას. არ მივესალმები საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და ბიზნეს მისამართების ასე მარტივად გადანაწილებას ერთი ჯიბიდან მეორეში და თან გაძვირებული სერვისით“, – განმარტავს გოლეთიანი.

„კომერსანტი“ სურსათის ეროვნულ სააგენტოსაც დაუკავშირდა კითხვით: დღეს ქვეყნის მასშტაბით რამდენი სასაკლაოა და აქედან რამდენი გასცემს ფორმა №2-ს?

სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსი გიორგი მიქაძე განმარტავს, რომ ლაბორატორია არ გასცემს ვეტერინარული ზედამხედველობის დოკუმენტს, ეგრეთ წოდებულ ფორმა №2-ს. მას გასცემს სააგენტოს უფლებამოსილი პირი, რომელიც სასაკლაოზე ვეტერინარული ზედამხედველობის საქმიანობის განხორციელების მიზნითაა დანიშნული.

– ეს არის ტრანსპორტირების, გადაადგილების დოკუმენტი. ხოლო, ხორცზე აუცილებელია ეტიკეტი და ჯანმრთელობის ნიშანდება, ამას გასცემენ სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოები, კერძოდ, სახელმწიფო ვეტერინარი, რომელიც სასაკლაოზეა მიმაგრებული, – განმარტავს მიქაძე.

სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსი საქონლის სასაკლაოების რაოდენობაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ქვეყნის მასშტაბით ასეთი 100-ზე მეტი ობიექტია და ყველა მათგანი ფორმა №2-ს გასცემს. მისივე თქმით, ამისთვის თელეთის და მარნეულის სასაკლაოებიც საკმარისია.

# ხორცის უმსხვილესი იმპორტიორი კომპანიები

საქსტატის ინფორმაციით, 2017 წელს საქართველოში 105,9 მილიონი დოლარის ხორცის იმპორტი განხორციელდა. 2011 წელს კი ეს მაჩვენებელი 105,8 მილიონი დოლარის პროდუქტს შეადგენდა. თანხობრივად 2011-ისა და 2017 წლების თითქმის ერთნაირად გამოიყურება, თუმცა, განსხვავებაა ხორცის რაოდენობაში.



2011 წელს საქართველოში 58,9 ათასი ტონა ხორცის იმპორტი განხორციელდა. საქართველოში ყველაზე მეტი, 66 მილიონი დოლარის ღირებულების, შინაური ფრინველის, ძირითადად ქათმის ხორცი, შემოვიდა. შემდეგ მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი, თუმცა, განსხვავება პირველ და მეორე საქონლის რაოდენობას შორის საკმაოდ დიდია. 2011 წელს საქართველოში სულ 21 მილიონამდე დოლარის პროდუქტი შემოვიდა. რაც შეეხება ღორის ხორცს, ქვეყანაში 19 მილიონამდე პროდუქტის იმპორტი მოხდა უცხო ქვეყნებიდან.

რაც შეეხება 2017 წელს, საქართველოში 69 ათასი ტონა ხორცის იმპორტი განხორციელდა, მათ შორის არის საქონლის, ღორის, ფრინველისა და ცხვრის/თხის ხორცი. მთლიანობაში ერთი წლის განმავლობაში იმპორტირებული ხორცის საერთო ღირებულება 106 მილიონამდე დოლარი შეადგინა. აქედან, ყველაზე მეტი შინაური ფრინველის, ძირითადად ქათმის ხორცის იმპორტი განხორციელდა. საქართველოში გასულ წელს 61,5 მილიონი დოლარის ქათმის ხორცის იმპორტი მოხდა, შემდეგ მოდის ღორის ხორცი – 34 მილიონი დოლარით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 10 მილიონამდე დოლარით.

ძალიან მცირედია ცხვრისა და თხის ხორცის იმპორტი, 2017 წელს სულ 51 ათასი დოლარის იმპორტი განხორციელდა. რაც შეეხება საკითხს, რომელი კომპანიები არიან ყველაზე მსხვილი იმპორტიორები? და იცვლება თუ არა ბაზარზე მდგომარეობა ამ მიმართულებით? ცვლილებები ამ მიმართულებითაც ფიქსირდება.

2011 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის უმსხვილესი იმპორტიორები იყვნენ: მულტი ტრეიდი, კონუსი, ფუდსერვისი, შპს „ეგა“ და გეო ინვესტი. 2017 წელს აბსოლუტურად სხვა მდგომარეობა გვაქვს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მსხვილი იმპორტიორები გასული წლის მონაცემებით, არიან: შპს ნიკორა, კასკო 2015, ჯი ენდ ეი გრუპი, ფუდ მიქსი, „ვესტ ვაკე დისტრიბუშენი“. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მულტი ტრეიდი და შპს ნიკორა ერთსა და იმავე მისამართზე რეგისტრირებული კომპანიებია ერთი და იმავე ელექტრონული ფოსტით – 2011 წელს მულტი ტრეიდი იყო უმსხვილესი იმპორტიორების სიაში, 2017-ში კი უკვე „ნიკორა“ გვევლინება.

ღორის ხორცის უმსხვილესი იმპორტიორებში 2011 წელსაც და გასულ წელსაც ფიგურირებს კვლავ „მულტი ტრეიდი“. დანარჩენი კომპანიების ჩამონათვალი შეცვლილია.

მსგავსი სიტუაცია გვაქვს ქათმის ხორცის მიმართულებითაც. ბოლო 7 წლის განმავლობაში უმსხვილეს იმპორტიორებს შორის კვლავ ჩანს ვესტ ინვესტი, დანარჩენი მოთამაშეები კი შეცვლილია. „ვესტ ინვესტის“ 100%-იანი წილის მფლობელი ნოდარ საბანაძეა.

## კიევში ქართველი „კანონიერი ქურდი“, „პროფესორი“, უკვე მეორედ დააკავეს



კიევში ნახევარი წლის განმავლობაში უკვე მეორედ დააკავეს ქართველი „კანონიერი ქურდი“, 26 წლის გიგა პეტრიაშვილი („პროფესორი“). როგორც უკრაინის პოლიცია იუწყება, ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი ძირითადად თურქეთში ცხოვრობს. იგი 2017 წლის სექტემბერში უკვე გააძევეს უკრაინიდან, მაგრამ მან უკან დაბრუნება სხვა სახელითა და გვარით შეძლო.

„პროფესორი“ უკრაინაში კურირებდა იმ დამნაშავეებს, რომლებიც ბინების ძარცვითა და მანქანების გატაცებით არიან დაკავებულები. იგი ასევე ქურდულ სამყაროში ახალგაზრდა კადრების მოზიდვით იყო დაინტერესებული. უკრაინაში ყოფნისას „პროფესორმა“ რამდენიმე „სხოდკაც“ მოაწყო.

„პროფესორი“ უკვე მეორედ ჩასვეს თვითმფრინავში, რომელიც სტამბოლის მიმართულებით გაფრინდა. ახლა მიმდინარეობს მსჯელობა მისთვის ქვეყანაში სამი წლით ჩამოსვლის აკრძალვის შესახებ.

## რუსთავში ავტომობილი ქალს დაეჯახა — მძღოლს პოლიცია ეძებს




ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავში. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ქვეითად მოსიარულე 66 წლის ქალს ავტომობილი დაეჯახა, მძღოლი კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები და სასწრაფო დახმარება იყო მობილიზებული.

ექიმების ინფორმაციით, ქალს პირველადი ინფორმაციით, მხოლოდ მსუბუქი დაზიანებები აღენიშნება. ის გამოკვლევებისთვის მაინც სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ქალაქის საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## უკანონო სათვალთვალო მოწყობილობა „დინამო არენასთან“

„დინამო არენას“ ტერიტორიაზე 20 მარტს გვიან ღამემდე ექსპერტ-კრიმინალისტები და კინოლოგები მუშაობდნენ. სამართალდამცველებმა „ოპელის“ მარკის ავტომობილი გაჩხრიკეს. „დინამო არენას“ თანამშრომლები პოლიციას მას შემდეგ დაუკავშირდნენ, რაც სადგომზე უპატრონოდ მიტოვებული ავტომობილი შენიშნეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ამოღებულია, სავარაუდოდ, უკანონოდ დამონტაჟებული სათვალთვალო მოწყობილობა.

თავდაპირველად იყო ვერსია, რომ ადგილზე კრიმინალისტები ნაღმს ეძებდნენ, თუმცა ეს ვერსია არ დადასტურდა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით დაიწყო, რაც პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებას, შენახვას, გამოყენებას, გავრცელებას ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარ უზრუნველყოფას გულისხმობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

# მოსამართლეთა უვადო გამწესება, შესაძლოა, დროებით შეჩერდეს

მოსამართლეთა უვადო გამწესება, შესაძლოა, დროებით შეჩერდეს. როგორც ჟურნალისტებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა ანა დოლიძემ განუცხადა, ეს მოსაზრება გუშინ სასამართლო რეფორმის მთავარი მიმართულებების სამუშაო ჯგუფის მე-5 შეხვედრაზე გამოითქვა.

— მივესალმები, რომ საქართველოს პარლამენტის მხრიდან გამოხატულია აქტიური რეფორმების სურვილი სასამართლო ხელისუფლებაში. ვფიქრობ, ეს არის დამსახურება იმის გააზრებისა, რომ სასამართლო ხელისუფლებაში შექმნილია ბევრი პრობლემა, მათ შორის უვადო დანიშვნებთან დაკავშირებით. დღეს აქ გამოითქვა ძალიან მნიშვნელოვანი მოსაზრება, რომ უვადო დანიშვნები უნდა გაჩერდეს, სანამ დანიშვნების პროცედურის სერიოზული რეფორმა არ მოხდება. ვფიქრობ, პარლამენტის დამოკიდებულება, თუ ის ნამდვილია, იმ აქტიურობის შედეგია, რომელიც გამოვლენილი იყო სწორედ უვადო დანიშვნებთან მიმართებით და რამაც დაგვანახა, რომ სასამართლო ხელისუფლებაში კვლავაც დარჩენილია ბევრი ხარვეზი და პრობლემა, რომლებსაც გამოსწორება სჭირდება, — განაცხადა დოლიძემ.



მისი თქმით, შესაბამისი მზაობა გამოითქვა როგორც პარლამენტის, ისე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მხრიდან.

— მთელი შეხვედრის სულისკვეთება იყო, რომ რეფორმა იქნება აქტიური და დათქვეს კიდეც ვადები, როდესაც უნდა მოხდეს რეფორმატორული წინადადებების შემუშავება. მე ვფიქრობ, ეს სულისკვეთება არის იმის დამსახურება, რომ ჩვენმა საკანონმდებლო ორგანომ და მისმა ლიდერებმა გაიაზრეს, რომ სასამართლო ხელისუფლება არის ის ლაბორატორია, რომლის მიხედვითაც დაუდგება ნიშანი ჩვენს სახელმწიფოს — ეს არის კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფო თუ არა, — დასძინა ანა დოლიძემ.

# ნინო ბურჯანაძე: „იმედში“ შეჭრის გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილმა მიიღო“



ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილმა მიიღო. აღნიშნულის შესახებ პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ საქალაქო სასამართლოში 7 ნოემბრის საქმესთან დაკავშირებით დაკითხვაზე განაცხადა, რითაც ბრალდების მხარის კითხვას უპასუხა იმის შესახებ, თუ ვინ მიიღო ტელეკომპანიის ამ ფორმით გათიშვის გადაწყვეტილება.

მისივე თქმით, „იმედში“ მხოლოდ სპეცრაზმი არ იყო შესული. იქ ასევე იყო შემადგენლობა, რომელიც ემორჩილებოდა რურუას.

— ჩემთვის მიუღებელი იყო ის, რომ „იმედში“ მხოლოდ სპეცრაზმი არ იყო გამოყენებული. მე ამასთან დაკავშირებით ძალიან მწვავე რეაქცია მქონდა. „იმედში“ იყვნენ ნიღბიანი, მაგრამ ჯინსებში ჩაცმული ადამიანები, ისინი არ იყვნენ ჩაცმულები, როგორც სპეცრაზმელები და მე მქონდა ინფორმაცია, რომ ეს იყო შემადგენლობა, რომელიც რურუას ემორჩილებოდა. რაც შეეხება იმას, თუ ვინ მიიღო გადაწყვეტილება, ჩვენ ამის შესახებ საუბარი გვქონდა და მიხეილ სააკაშვილმა არც დამალა, რომ მან მიიღო ეს გადაწყვეტილება, — განაცხადა ბურჯანაძემ.

შეგახსენებთ, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს, სპეცდანიშნულების რაზმმა აქციის მონაწილეების მიმართ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. საპროტესტო აქციამ რიყეზე გადაინაცვლა, სადაც აქციის დარბევა მოხდა. დღის ბოლოს სპეცდანიშნულების რაზმი ტელეკომპანია „იმედში“ შეიჭრა.

# იარაღის დემონსტრირებით სიცოცხლის მოსპობის მუქარა — ყაჩაღობაში ბრალდებული დამნაშავედ ცნეს

სასამართლომ ყაჩაღობაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობაში ბრალდებული ზ.ფ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 16 მარტს ზ.ფ. მივიდა ქ.ზუგდიდში მდებარე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლენდოში“ და თანამშრომლების მიმართ იარაღის დემონსტრირებით და სიცოცხლის მოსპობის მუქარით დაეუფლა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლენდოს“ კუთვნილ თანხას — 5.055 ლარის ოდენობით და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

2018 წლის 25 იანვარს ზ.ფ.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყაჩაღობა) წარედგინა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ზ.ფ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად 5 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.



# ფალსიფიცირებული ყავა სავაჭრო ობიექტებში — დაკავებულია მეწარმე

ყავის ფალსიფიკაციის ფაქტზე საგამოძიებო სამსახურმა ერთი პირი პასუხისგებაში მისცა.

— საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ყავის ფალსიფიკაციის ფაქტზე ერთი პირი პასუხისგებაში მისცეს.




გამოძიებით დადგინდა, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ინდივიდუალური მეწარმე სხვადასხვა მარცვლეული კულტურის შერევით აწარმოებდა ვითომდა ნატურალურ ყავას, რომლის რეალიზაციას საქართველოს მასშტაბით არსებულ სავაჭრო ობიექტებში ახდენდა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია დიდი ოდენობით ფალსიფიცირებული ყავა და ნედლეული.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე ვადით, — აღნიშნულია საგამოძიებო საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# 82 წლის ქალის შესაძლო ცემის ფაქტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო

„ბათუმელების“ ინფორმაციით, 82 წლის ალექსანდრა ტერუნი, რომელიც გუშინ დილით ბათუმში, საიათნოვას 4-დან გამოასახლეს, ნაცემია. ტერუნის ნდობით აღჭურვილი პირი, ჟუჟუნა ჯიჯავაძე, აცხადებს, რომ ჟურნალისტებისა და აღმასრულებლების წასვლის შემდეგ მოხუცს ბინის მესაკუთრემ და მისმა ახლობელმა დაარტყა.

82 წლის ქალის სავარაუდო ცემაზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.



## თბილისში კიდევ ერთი ტრანსგენდერი ქალი ცემეს

თბილისში, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსგენდერი ქალი (გაბრიელა) სცემეს.

როგორც „ნიუპოსტთან“ საუბრისას გაბრიელას მეგობარი, მირანდა ფაღავა აცხადებს, თავდასხმა რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა განახორციელა. მისივე განმარტებით, ეს თავდამსხმელები ადრეც ახდენენ მუქარას და ფიზიკურ დაპირისპირებას.



— მუქარის განხორციელების დროს, გაბრიელამ მოახერხა სამართლადამცავებთან დაკავშირება, პოლიცია ადგილზე მოვიდა და სწორედ მაშინ მოახერხეს იმ პირებმა გაბრიელას ცემა, მაგრამ პოლიციის მხრიდან ამაზეარანაირი რეაგირება არ მომხდარა, ადგილზე მხოლოდ სამართლებრივი ოქმი შედგა და დამნაშავე პირები გაუშვეს, — განაცხადა მირანდამ.

შემთხვევის ადგილზე გამოძახებული იქნა სასწარაფო დახმარების ბრიგადა, რომელმაც ტრანსგენდერი ქალი კლინიკაში გადაიყვანა.

როგორც „ნიუპოსტთან“ საუბარში მირანდა აცხადებს, თბილისში მხოლოდ ერთი კლინიკა არსებობს ნიუჰოსპიტალი, რომელიც ტრანსგენდერი ქალების მიღებაზე თანხმობას აცხადებს. მისივე თქმით, ყველა სხვა კლინიკაში მათ მიღებაზე უარს აცხადებენ და დისკრიმინაციული ენით ესაუბრებიან.

# ამერიკელი ექსპერტები: „ვაშინგტონმა დაკარგა როგორც ქურთების, ისე თურქეთის ნდობა“

## დამასკო ანკარას ოკუპაციაში ადანაშაულებს

**მარიამ მჭედლიშვილი**




თურქეთის მიერ აფრინის აღებით სირიაში ახალი კრიზისი დაიწყო. ამერიკელი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ საკითხში ვაშინგტონმა არასწორი პოზიცია დაიკავა. ამის გამო მან დაკარგა როგორც მოკავშირე ქურთების, ისე პარტნიორი თურქეთის ნდობა.

აშშ-ს სურვილი ჰქონდა, სირიელი ქურთებისთვისაც გამოეხატა მხარდაჭერა და მათ წინააღმდეგ მებრძოლი ნატოს წევრი თურქეთისთვისაც. საბოლოოდ, მან ორივე მხარე მოიმდურა. ამის შედეგად ანკარა აკეთებს თეთრი სახლის ინტერესებისა და კურსის საწინააღმდეგო განცხადებებს.

ამერიკელი ექსპერტების თქმით, აშშ-ის სისუსტისა და გაურკვევლობის მიზეზით იხეირეს რუსეთმა და ოფიციალურმა დამასკომ. თურქეთმა აფრინში ოპერაცია ჩაატარა მოსკოვთან სრული თანხმობით და გარანტიით, რომ მის საქმეში არ ჩაერეოდა სირიის საჰაერო თავდაცვა. აშშ განზე გადგა და არ გაიზიარა ქურთთა სახალხო თავდაცვის რაზმების მოწოდებები.

პრეზიდენტმა ტრამპმა თავის თურქ კოლეგას ოპერაციის შეზღუდვისკენ მოუწოდა. ეს იყო ხისტი მიმართვა, რომელიც არ ახასიათებს პარტნიორს. ამის შემდეგ აშშ-მ მთლიანად მოიხსნა პასუხისმგებლობა ქურთთა ამ ანკლავზე სირიაში.

ვაშინგტონი იუარესებს ურთიერთობას სირიის დემოკრატიულ ძალებთანაც. ამ გაერთიანების ბირთვს ქურთების ფორმირებები შეადგენენ. მართალია, აშშ-ს კარგი ურთიერთობა აქვს საუდის არაბეთთან, მაგრამ ეს მხარდაჭერა არ კმარა აშშ-ის პოზიციის გასამყარებლად სირიის აღმოსავლეთში.

სირია მოუწოდებს თურქეთს, დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარი აფრინიდან. სირიის საგარეო უწყება აცხადებს, რომ აფრინის მიტაცება ოკუპაციაა.

– თურქეთის პრეზიდენტის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის განცხადება აფრინზე კონტროლის შესახებ, უკანონოა და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს, – აცხადებს ოფიციალური დამასკო.

აფრინის გარშემო შექმნილი კრიზისით შეშფოთებას გამოთქვამს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი. მის წუხილს იწვევს ის, რომ აფრინი დატოვა მშვიდობიანმა მოსახლეობამ.

ვაშინგტონი მოუწოდებს სირიის ჩრდილო-დასავლეთში მოქმედ სუბიექტებს – თურქეთს, რუსეთსა და სირიის რეჟიმს, უზრუნველყონ აფრინში საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების შეშვება.

3 აპრილს დაგეგმილია თურქეთის, ირანისა და რუსეთის პრეზიდენტების მორიგი შეხვედრა. 16 მარტს ერთობლივი განცხადება მიიღეს ამ სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა. განცხადებაში გამოთქმულია სირიის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა.

არის მოსაზრება, რომ მოსკოვი და თეირანი ურჩევენ ანკარას, დაიხიოს და არ შეუშალოს ხელი აფრინში სირიის ძალების შესვლას.

სავარაუდოდ, თურქეთი ამას არ დათანხმდება. თუ მას ოკუპაციაში დაადანაშაულებენ, საპასუხოდ ანკარა ამგვარ ბრალდებას ყირიმთან მიმართებაში რუსეთსაც წამოაძახებს. თურქეთი მხარს უჭერს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და ყირიმს მის ნაწილად აღიარებს. ოკუპაციის ბრალდებას თურქეთი ვერ წაუყენებს ირანს, რომელიც დაინტერესებულია სირიაში შიიტური დასახლებების დაცვით და არ იწონებს აფრინის აღებას.

მოვლენების სწრაფად განვითარების ფონზე იცვლება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები. უდავოა ის, რომ ახლო აღმოსავლეთში სხვადასხვა სახის კონფლიქტი უფრო ღრმავდება.



# სარკოზი დააკავეს

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი დააკავეს. მას ბრალად ედება თავისი საპრეზიდენტო კამპანიის დროს ფინანსური დარღვევები.

სარკოზი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაუქმებისა და პუტინთან დიალოგის ლოზუნგებით გამოდიოდა. ის აგრეთვე აცხადებდა, რომ ყირიმისა და დონბასის ომთან დაკავშირებით დასავლეთის პოზიცია ზედმეტად ცალმხრივია.

– ყირიმი ისტორიულად რუსეთია! რაც შეეხება დონბასს, ესაა სადავო ტერიტორია და მის მიმართ განსაკუთრებული მიდგომაა აუცილებელი, – ამბობდა სარკოზი.

# პუტინი: „მე სტალინი არ ვარ!“




ვლადიმერ პუტინმა აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ზოგიერთი ექსპერტი მას დიქტატორს უწოდებს და სტალინს ადარებს.

– ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელია! სტალინი იყო სისხლიანი დიქტატორი, რომელმაც ტოტალიტარული რეჟიმი დაამყარა! – თქვა პუტინმა.

მან გაღიზიანებით შენიშნა, რუსეთში რომ მართლა სტალინური რეჟიმი იყოს, ბევრი ლიბერალი, ახლა ენა რომ წაუგდიათ, ჩემ წინ მუხლებზე დაემხობოდაო. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპის დაწყება არ სურს.

– ეს რუსეთისთვის კატასტროფის ტოლფასია! ამიტომ ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ მსოფლიოში დაძაბულობა განიმუხტოს, – თქვა პუტინმა.

# ევროკავშირმა ყირიმში ჩატარებული არჩევნები არ აღიარა




ევროკავშირი ყირიმში ჩატარებულ არჩევნებს არ ცნობს. ამის თაობაზე ევროკავშირის საგარეო სამსახურმა განაცხადა.

– ჩვენ ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის კანონიერებას არ ვცნობთ. შესაბამისად, ნებისმიერი არჩევნები, რომლებიც იქ რუსეთის ეგიდით ჩატარდა, არაკანონიერია, – ნათქვამია განცხადებაში.

ოფიციალური რუსული მონაცემებით, პუტინმა ყირიმში – 90%, ხოლო სევასტოპოლში 92% მიიღო. ყირიმელ თათართა მილი-მეჯლისის ცნობით, საარჩევნო ყუთებთან ამომრჩეველთა მხოლოდ 40% მივიდა.

– ყირიმში არჩევნები ჩაიშალა, – ამბობს მეჯლისის ერთ-ერთი ლიდერი რაფატ ჩუბაროვი.

# აშშ და სამხრეთ კორეა ერთობლივ სამხედრო წვრთნებს განაახლებენ

2018 წლის იანვარში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აშშ-ისა და სამხრეთ კორეის ერთობლივი წვრთნების შეჩერების შესახებ. 19 მარტს პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ წვრთნები განახლდება.

– ჩრდილოეთ კორეაზე მხოლოდ დიპლომატიური ზეწოლა შედეგს ვერ გამოიღებს. აუცილებელია ძალოვანი კომპონენტიც, – აცხადებს ტრამპი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



# ამერიკაში გაუგებარ ენაზე მოლაპარაკეები მსხვერპლშეწირვისთვის დააპატიმრეს

ამერიკის ტეხასის შტატის ბეარის ოლქში 12-14 ადამიანი დააკავეს, რომლებიც, პოლიციელების აზრით, ცხოველებს მსხვერპლად სწირავდნენ.

ადგილობრივებმა პოლიციას ინფორმაცია მიაწოდეს შესაძლო მსხვერპლშეწირვის თაობაზე. როდესაც პოლიციელები ადგილზე მივიდნენ, მათ საცხოვრებელი სახლის ავტოფარეხში ათზე მეტი ადამიანი აღმოაჩინეს.

ადგილზე მყოფთაგან ერთ-ერთი ქალი ცხოველებს ანაწევრებდა. ავტოფარეხში პოლიციამ თხების თავები და დახოცილი ქათმები იპოვა.

დაკავებულები საუბრობდნენ ენაზე, რომელიც სამართალდამცავებისთვის სრულიად გაუგებარი იყო. პოლიციელების აზრით, ექვმიტანილები ერთგვარ რიტუალს ასრულებდნენ. მათ ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობის ბრალდებას წაუყენებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავებაშეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ფაჩულიას სან ანტონიოში უსტვინეს



გოლდენ სტეიტ უორიორსი სან ანტონიო სფურსს ესტუმრა და 75:89 წააგო. ტეხასელი გულშემატკივარი ზაზა ფაჩულიას სტვენითა და ნეგატიური შეძახილებით შეხვდა. ქართველი ცენტრი ბურთს მიიღებდა თუ არა, დარბაზში გამაყრუებელი ხმა ისმოდა. ყველა მომენტში, როდესაც ფაჩულია ბურთს მიიღებდა, სან ანტონიოს ფანები უსტვენდნენ, ხოლო როდესაც ბურთს კარგავდა, ტაშს უკრავდნენ.

სპურსის გულშემატკივრებს ჯერაც არ დავიწყებიათ გასული წლის პლეი ოფში კავაი ლეონარდის ტრავმა, რომელიც მან ზაზა ფაჩულიასთან შეჯახების შემდეგ მიიღო. გაზაფხულზე ამ ამბავს სანანტონიოელების უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, რაშიც მთავარი მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩიც ჩაერთო.

ცხადია, დარბაზში მეტოქის სტვენასა და ყვირილს გამოცდილი ზაზა ფაჩულია შეჩვეულია. მისთვის ამას თამაშში ხელი არ შეუშლია. „მერკური ნიუსის“ ჟურნალისტმა მარკ მედინამ კი თავის „ტვიტერზე“ დაწერა: სან ანტონიოს ქომაგის რეაქცია სასაცილოა – ზაზა ფაჩულიას ისე უსტვინეს, როგორც კობი ბრაიანტს უსტვენდნენ ხოლმე.

ქართველმა ცენტრმა მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 14 წუთი ითამაშა, 6 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა.

არ უთამაშიათ სტეფ კარის, კევინ დურანტსა და კლეი ტომპსონს. მხოლოდ 11 წუთი გაატარა მოედანზე დრეიმონდ გრინმა, რომელსაც მენჯთან აქვს დაზიანება.

კარის არყოფნაში კვლავ ქვინ კუკმა გამოიდო თავი – 20 ქულა ჩააგდო. სან ანტონიოს კი 33 ქულით ლამარკუს ოლდრიჯმა მოაგებინა.

23 მარტს გოლდენ სტეიტი ზაზას ყოფილ გუნდ ატლანტას უმასპინძლებს.

# ვაისი ემზადება, ლიტვამ შემადგენლობა დაასახელა



საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა წლის სადებიუტო ამხანაგური მატჩებისთვის მზადება დაიწყო. ვლადიმირ ვაისის გუნდმა პირველი ვარჯიში არასრული შემადგენლობით გამართა. სავარჯიშო პროცესი თბილისში მდებარე საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის საწვრთნელ ბაზაზე წარიმართა. მთავარი მწვრთნელის განკარგულებაში 17 ფეხბურთელი იყო.

გუშინ ეროვნულ ნაკრებს გურამ კაშია, ოთარ კაკაბაძე, დავით ხოჭოლავა, ვაკო ყაზაიშვილი, ვაკო გვილია და გიორგი მერებაშვილი შეუერთდნენ.

საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქის, ლიტვის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ედგარას იანკაუსკასმა 24 მარტს თბილისში საქართველოს ნაკრებთან გასამართი ამხანაგური მატჩისთვის შეკრებაზე მიწვეულთა ვინაობა დაასახელა.

ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, იანკაუსკასის არჩევანი ასეთია:

**მეკარეები:** ერნესტას შეტკუსი (ჰაპოელი, ისრაელი), ედვინას გერტმონასი (რენი, საფრანგეთი), ვიტაუტას ჩერნიაუსკასი (ცსკა, ბულგარეთი);

**მცველები:** ვალდემარ ბოროვსკი, იუსტინას იანუშევსკი (ორივე თრაკაი), ერდვინას გირდვაინასი (ტომი, რუსეთი), ლიმას კლიმიავიჩუსი, როლანდას ბარავსკასი (ორივე ჟალგირისი), ვაიდას სლავიცკასი, ალგის იანკაუსკასი (ორივე სუდუვა), ეგიდიუს ვაიტკუნასი (მინსკი, ბელარუსი);

**ნახევარმცველები:** ფედორ ჩერნიხი (დინამო, რუსეთი), მანტას კუკლუსი (ჟეტისუ, ყაზახეთი), არვიდას ნოვიკოვასი (იაგიელონია, პოლონეთი), ოვიდიუს ვერბიკასი (სუდუვა), დანიელ რომანოვსკი (ჟალგირისი), არტურას ჟულპა (ტობოლი, ყაზახეთი), იუსტას ლეცისკასი (ზემუნი, სერბეთი), სიმონას პაულიუსი (კაუნო), მოდესტას ვოროზიოვასი (თრაკაი);

**თავდამსხმელები:** დარვდას შერნასი (ქვარ-საბა, ისრაელი), ნერიუსი ვალსკისი (ბნეი იეჰუდა, ისრაელი), კაროლის ლაუკჟემისი (სუდუვა).

# დემიდოვი კოლხეთს გაწვრთნის



ეროვნული ლიგის დაწყებიდან 2 ტურის შემდეგ ფოთის კოლხეთმა არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გუნდის მთავარი მწვრთნელი, კონსტანტინ გალკინი, დაკავებული პოსტიდან გაათავისუფლა.

გალკინის ადგილს კოლხეთში 52 წლის სპეციალისტი ვიქტორ დემიდოვი დაიკავებს, რომელიც საქმიანობას უკვე შეუდგა და ეროვნული ლიგის მე-4 ტურში ფოთელები სამტრედიის წინააღმდეგ მისი ხელმძღვანელობით გავლენ მოედანზე.

დემიდოვისთვის საქართველო უცხო არ არის – გასულ სეზონში ეროვნულ ლიგა 2-ში ლანჩხუთის გურიას წვრთნიდა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ წარმატებულად, რადგან გურულები ეროვნულ ლიგა 3-ში გავარდნენ.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# გია ჭიაბრიშვილი: „საბურთალო ყოველთვის იბრძვის“



3 ტური მიილია ეროვნული ლიგის დაწყებიდან. ცხრილის სათავეში ერთადერთი უდანაკარგო გუნდია – საბურთალო.

გარდა იმისა, რომ გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდი უდანაკარგოა, დედაქალაქელები სასიამოვნო თამაშსაც აჩვენებენ.

გიორგი ჭიაბრიშვილი სწორედ ამ თემებსა და მომავალ მიზნებზე საუბრობს:

– ბოლო ტურში გორის დილასთან საბურთალომ ბოლომდე იბრძოლა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. მართალია, ხარისხი არ იყო სასურველი და ამ ეტაპისთვის არ ვართ ოპტიმალურ ფორმაში, მაგრამ ეს ჩვეულებრივი პროცესია. კარგია, რომ ქულებს ვაგროვებთ და პირველ ადგილზე ვიმყოფებით. იმედი მაქვს ჩემი ფეხბურთელების და მჯერა, მალე ბევრად მაღალი დონის ფეხბურთს ვაჩვენებთ.

***– რამდენად რთული იყო ჩატარებულ შეხვედრებში გამარჯვების მოპოვება?***

– სამივე მეტოქემ დაცვითი სტილის ფეხბურთი შემოგვთავაზა. მიუხედავად იმისა, რომ სამივე მოწინააღმდეგესთან გავიმარჯვეთ, არცერთი არ იყო იოლი გამარჯვება. სიონთან პირველ ტაიმს ვაგებდით, მაგრამ შემდეგ მოვახერხეთ 3 ქულის მოპოვება. დიდი იყო შანსი, რომ ფრედ დასრულებულიყო შეხვედრა ან სულაც წაგვეგო, მაგრამ ბიჭებმა მობილიზება შეძლეს და წარმატებას მიაღწიეს. კოლხეთთანაც ვმარცხდებოდით პირველ ნახევარში, მაგრამ მეორე ტაიმში სასურველ შედეგს მივაღწიეთ.

***– გუნდმა რამდენჯერმე შემოატრიალა თამაში. როგორც ჩანს, ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად მომზადებულები არიან.***

– არა მხოლოდ პირველ და მეორე გუნდს, არამედ მთლიანად საბურთალოს აკადემიას მებრძოლი ხასიათი აქვს ჩამოყალიბებული. ფეხბურთში ყველაფერი ხდება – შეიძლება თავიდან დაწინაურდე და დამარცხდე, ან აგებდე და შემდეგ მიაღწიო წარმატებას. ჩვენ ყველა თამაშზე ბოლომდე ვიბრძვით.

***– იმის გარდა, რომ საბურთალოს წარმატებული სტარტი აქვს, ამავდროულად, დამატებითი მოტივაციაა, რომ კლუბი პირველ ადგილზე იმყოფება.***

– საწყის ტურებს დიდი მნიშვნელობა აქვს. კარგია, რომ ზედიზედ მოვიპოვეთ გამარჯვებები, თუმცა ჩემპიონატი მარათონულია და წარმატებები უნდა გავაგრძელოთ. ჩვენ ასეთივე სტარტი რამდენიმე წლის წინაც გვქონდა, როდესაც უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონს ვატარებდით, მაგრამ ვერ შევძელით მისი შენარჩუნება.

***– საბურთალოში დიდი კონკურენციაა. ხშირად გამოცდილი ფეხბურთელები 18-კაციან განაცხადს მიღმა რჩებიან. რთული არ არის ფეხბურთელისთვის ეს ფაქტორი, თუ ფსიქოლოგიურად ამისთვისაც მზად არიან?***

– რა თქმა უნდა, ფეხბურთელისთვის რთულია და თამაში ყველას უნდა. თუმცა, ეს კონკურენციაა და დაუმსახურებლად არავინ ხვდება ძირითად შემადგენლობაში. გასულ წელს ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა, რომ წლეულს ევროპის ლიგაზე გვეთამაშა, მაგრამ შარშან არ გვქონდა გრძელი სათადარიგო სკამი. ახლა რომ გადავხედოთ ჩატარებულ მატჩებს, ტრავმის გამო იაშვილი, მალი, ლაკვეხელიანი და გრიგალაშვილი გვაკლდნენ, მაგრამ ამ ფეხბურთელების სრულფასოვანი ჩანაცვლება მოვახერხეთ იმიტომ, რომ გრძელი სათადარიგო სკამი გვაქვს.

***– ახალწვეულები რამდენად შეეწყვნენ საბურთალოს სათამაშო სტილს?***

– სელექცია არასდროს ჩამიტარებია ისე, რომ არ ვიცოდე ფეხბურთელის შესაძლებლობები. კლუბის ხელმძღვანელებმა მაქსიმალურად შემიწყვეს ხელი და ის ფეხბურთელები მოვიყვანეთ კლუბში, რომელთა ხილვაც მსურდა. ამისთვის მათ მადლობას გადავუხდი.

***– გიორგი ხარაიშვილი კლუბის საკვანძო ფეხბურთელი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს პროცესი უმტკივნეულოდ გადაიტანა საბურთალომ.***

– საბურთალოს გიორგი ხარაიშვილი ისევ ჰყავს და ეყოლება ცხოვრების ბოლომდე. დილასთან მატჩს ხარაიშვილების ოჯახი ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. ხარაიშვილის მსგავსი ფეხბურთელები საქართველოში არ არიან. „რობი“ გამორჩეულია თავისი სათამაშო სტილით, დრიბლინგით, ძლიერი დარტყმით, გამოზომილი პასებით, შესრულებული სტანდარტულებითა და ნიჭით. რა თქმა უნდა, ხარაიშვილი ძალიან დააკლდა თბილისურ კლუბს. ახლა იგი საბურთალოში რომ იყოს, კიდევ უფრო ძლიერი იქნებოდა ჩვენი გუნდი, თუმცა, რაც მოხდა და როგორი გადაწყვეტილებაც მიიღეს ხელმძღვანელებმა – მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთელის საკეთილდღეოდ. ხარაიშვილი საბურთალოში რომ ირიცხებოდეს, ახლა ჩვენი კლუბის სამეულში მოხვედრა კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დადგებოდა.

# უმცროსი ბორჯღალოსნები ევროპის ჩემპიონატზე არიან



საქართველოს 18 წლამდე მორაგბეთა ნაკრები პოლონეთის ქალაქ პოზნანში გაემგზავრა, სადაც 25-დან 31 მარტის ჩათვლით რაგბი ევროპის ამავე ასაკის ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.

დავით ჩავლეიშვილის შეგირდები მეოთხედფინალში ჰოლანდიის ნაკრებს შეხვდებიან და მატჩი საქართველოს დროით 15:00 საათზე დაიწყება. 28 მარტს ნახევარფინალებია და ჩვენი მეტოქე პორტუგალიისა და რუსეთის წყვილს შორის გამარჯვებული იქნება, ხოლო 31 მარტს ფინალები გაიმართება.

18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფორმატი რამდენჯერმე შეიცვალა. 2009 წლიდან ტურნირში სხვადასხვა ფორმით ტიერ 1-ის ქვეყნების ნაკრებები ჩაერთვნენ, 2012-15 წლებში კი 8-გუნდა ტურნირში ექვსი ერის ყველა გუნდი მონაწილეობდა.

ამ პერიოდში „უმცროსი ბორჯღალოსნები“ დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ სახელოვან მეტოქეებს და მინიმუმ ერთი გუნდის დამარცხებას ახერხებდნენ, ხოლო 2015 წელს ირლანდიისა და იტალიის დამარცხების შემდეგ ფინალში გავიდნენ და უკან მოიტოვეს ინგლისი, იტალია, უელსი, ირლანდია და შოტლანდია.

სამწუხაროდ, ამის შემდეგ ექვსი ერის ქვეყნებმა 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი დატოვეს. მათგან მხოლოდ საფრანგეთი დარჩა და ჩვენმა გუნდმაც ზედიზედ სამი ფინალი სწორედ საფრანგეთთან ითამაშა.

2017 წელს ევროპის ღია ჩემპიონატში იაპონია, კანადა და აშშ ჩაერთვნენ, რამაც ტურნირს დამატებითი ხიბლი შესძინა, თუმცა, ფინანსური მოსაზრებით, წელს მათ მონაწილეობაზე უარი თქვეს და ევროპის ჩემპიონატს ძლიერი გუნდებიდან კვლავ მხოლოდ საფრანგეთი შემორჩა.

ევროპის ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ერთი კვირის განმავლობაში ყოველ მესამე დღეს 3 თამაშს გამართავენ. მეოთხედფინალების გამარჯვებულები თასის ნახევარფინალში გადიან, ხოლო დამარცხებულები მე-5 ადგილისთვის აგრძელებენ ბრძოლას.

ევროპის ჩემპიონატზე ყველა ადგილი თამაშდება და, შესაბამისად, ყველა გუნდს 3-3 მატჩის გამართვა უწევს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატს მხოლოდ ევროპული გუნდები შემორჩნენ, გუნდის მთავარი მწვრთნელი ფიქრობს, რომ ბიჭებს მოტივაციის ნაკლებობა არ ექნებოდათ და იმედოვნებს, რომ საფრანგეთთან ზედიზედ მეოთხე ფინალს ითამაშებს:

**დავით ჩავლეიშვილი:**

– გულდასაწყვეტია, რომ იაპონია, კანადა და აშშ ტურნირიდან გავიდნენ, თუმცა ეს ჩვენს მოტივაციაზე არ აისახება. ამ ბიჭებისთვის რუმინეთის, პორტუგალიის, ესპანეთისა და რუსეთის წინააღმდეგ თამაში საინტერესოა. თუმცა, მათი პერსპექტივისთვის, რა თქმა უნდა, ჯობდა, რომ უფრო ძლიერი მეტოქეები გვყოლოდა. მიზანი, წინა წლების მსგავსად, ფინალში გასვლაა, სადაც, სავარაუდოდ, კვლავ საფრანგეთთან მოგვიწევს შეხვედრა და უნდა ვეცადოთ, მათთან უფრო მეტს მივაღწიოთ.

**18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ჩავიდა:**

დავით აბდუშელიშვილი, ირაკლი მჭედლიძე, ლუკა ჭელიძე, ვლადიმერ ჩაჩანიძე, ბექა ყორიაული, ნიკოლოზ ღამბაშიძე, გიორგი მარგალიტაძე, დემურ თაფლაძე (ყველა ლელოსარასენსი), ვანო კარკაძე, გიორგი თევდორაძე, ლაშა ლომიძე, ირაკლი სიმსივე (ყველა აია), საბა კურატიშვილი, ლუკა მაჭარაშვილი, გიორგი მიქანაძე (ყველა არმაზი), ხვიჩა ცოფურაშვილი (სტად ფრანსე, საფრანგეთი), ტარიელ გვიმრაძე, საბა კურტანიძე, ნიკა ცინცაძე (ყველა ხვამლი), იოანე იაშაღაშვილი, ოთარ ლაშხია, ბართლომე კალაძე (ყველა იუნკერები), გიგი ლეშკაშელი (ბაგრატი), მიხეილ ალანია, თეიმურაზ ჭიჭინაძე (ორივე ჯიქი), ზურაბ ქავთარაძე (ხარები).

## შედეგები

**19 მარტი**
**ფეხბურთი**

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**
უესკა-ხიხონი ..................... 0:2

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**
აუე-ფიურტი ..................... 2:1

**იტალია. სერია ბ**
კარპი-პრო ვერჩელი ..................... 2:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**
ბრესტი-ნიმი ..................... 0:2

# მანჩესტერი გადახალისდება



ბოლო დროს პრესა სულ უფრო აქტიურად წერს მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი შემტევის ენტონი მარსიალის შესახებ. ზოგიერთი წყარო ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე კლუბის გამოცვლას უწინასწარმეტყველებს. ცნობილია იმ გუნდის ვინაობა, რომელიც ყველაზე მეტად ცდილობს ახალგაზრდა თავდამსხმელის გადაბირებას.

ტურინის იუვენტუსი მზად არის, 22 წლის ფეხბურთელი საკუთარ რიგებში იხილოს. გავრცელებული ჭორების ფონზე დუმილს არღვევს თავად ფეხბურთელის აგენტი ფილიპ ლამბოლი. მისივე განცხადებით, ანტონი მარსიალის ირგვლივ აგორებული ყველა ჭორი ტყუილია და არ შეესაბამება იოტისოდენა სიმართლესაც კი.

აქამდე იტალიური პრესა იწერებოდა, რომ „ბებერი ქალბატონის" დირექტორი პაველ ნედვედი ლონდონში თავად შეხვდა მარსიალის ნდობით აღჭურვილ პირებს, მაგრამ ლამბოლიმ ამ ჭორებს სრული დეზინფორმაცია უწოდა.

**ფილიპ ლამბოლი:**

– იუვენტუსი? არა, მე მათ არცერთ წარმომადგენელთან რამე სახის შეხვედრა არ მქონია აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ. რაც იტალიურმა პრესამ ამის შესახებ დაწერა, არის სრული სიცრუე. შესაძლებელია თუ არა, რომ მარსიალმა კლუბი ზაფხულში დატოვოს? ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. ამ მომენტისთვის მარსიალი ფოკუსირებულია ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასზე წარმატებით ასპარეზობაზე და ასევე პრემიერ ლიგის მეორე ადგილისთვის ბრძოლაში გუნდს დაეხმარება, მეორე ადგილი კი მის კლუბს საშუალებას მისცემს, მომავალ სეზონში ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში კვლავ მიიღოს მონაწილეობა.

მარსიალის წასვლა სხვა გუნდის მოთხოვნაზეა დამოკიდებული, ხოლო მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ მანჩესტერელი კლუბის სერიოზულად გადახალისება გადაწყვიტა და ხელმძღვანელობისაგან ტრანსფერებისთვის საჭირო ფულსაც მიიღებს.

როგორც იუწყებიან, გუნდს 9 ფეხბურთელი დატოვებს: ლიუკ შოუ, კრის სმოლინგი, ფილ ჯონსი, დეილი ბლინდი, მატეო დარმიანი, ანდერ ერერა, ხუან მატა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი და მარუან ფელაინი (ეს ორი უკანასკნელი – თავისუფალი აგენტის სტატუსით).

ახალ სეზონში მანჩესტერი გარეთ ბეილის (რეალი), ტობი ალდერვეირელდის, დენი როუზის (ორივე ტოტენჰემი), ვილიანისა (ჩელსი) და ფრედის (შახტარი) შეძენას შეეცდება.

ამ ტრანსფერების გამო იუნაიტედმა „ოლდ ტრაფორდის" რეკონსტრუქცია გადადო.

# კრივი, შესაძლოა, ოლიმპიადიდან ამოიღონ

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ თომას ბახის განცხადებით, სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციას მრავლად აქვს პრობლემები. კერძოდ, საუბარია ოლიმპიადებზე მსაჯობაზე. ბახის განმარტებით, ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს რიოს ოლიმპიური თამაშების 2 ორთაბრძოლის შედეგი:

**თომას ბახი:**

– აიბა-ს მმართველობით მეტად შეშფოთებული ვართ. ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭო უკმაყოფილოა მმართველობასთან, ფინანსებთან, მსაჯობასთან და დოპინგთან დაკავშირებით აიბა-ს მიერ გაკეთებული მოხსენებით. ამიტომაც ოლიმპიური კომიტეტი უფლებას იტოვებს, ბუენოს აირესის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების, ასევე ტოკიო-2020-ის პროგრამაში კრივის ჩართვას გადახედოს.



აღსანიშნავია, რომ ბახის განცხადებას წინ უძღოდა ირლანდიის მოკრივეთა ნაკრების მენეჯერ ჯო ჰენიგანის მიერ რამდენიმე დღით ადრე მედიისთვის მიწოდებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც რიო-2016-ის საკრივო ასპარეზობათა შედეგები წინასწარ იყო ცნობილი. მისი თქმით, ამას ადასტურებს ირლანდიის ნაკრების ქართველი მთავარი მწვრთნელი ზაურ ანთია, რომელმაც რუს კოლეგასთან საუბრისას შეიტყო, რომ მის შეგირდ მაიკლ კონლანს რუს ვლადიმირ ნიკიტინთან მეოთხედფინალში, ისევე, როგორც სხვა ირლანდიელ მოკრივეებს, გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონოდა, რადგან ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი.

საგულისხმოა, რომ რიოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ მთელი სამსაჯო კოლეგია არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო საქმიანობას დროებით ჩამოაშორეს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ბავშვმა დედის მანქანა გაიტაცა და 120 კილომეტრი გაიარა



ამერიკის მისისიპის შტატის ქალაქ ნიუ-ოგასტაში 12 წლის ბიჭი დააკავეს, რომელმაც დედის მანქანა გაიტაცა და 120 კილომეტრი გაიარა.

მშობლებთან კამათის შემდეგ, რომელიც ალაბამას შტატის მობილის ოლქში მოხდა, მოზარდმა მშობლის დაუკითხავად აიღო მანქანის გასაღები და წავიდა. მან გადაკვეთა შტატი, მეზობელ შტატამდე მიაღწია და ნიუ-ოგასტეს ავტოგასამართ სადგურთან გაჩერდა, რათა ცარიელი ბენზინის ავზი შეევსო.

პოლიციის თანამშრომლები გაოცებულები დარჩნენ იმით, რომ ბიჭმა ამხელა მანძილი გაიარა, თანაც ისე, რომ ავტომობილი არ დაუზიანებია.

– შთამბეჭდავია ის, რომ 12 წლის ბავშვმა მობილიდან აქამდე ჩამოსვლა მოახერხა. ეს საათნახევრის გზა მაინცაა მანქანით, – აღნიშნა პერის ოლქის შერიფმა მიტჩ ნოუბელზმა.

სამართალდამცავებმა იმედი გამოთქვეს, რომ მშობლები მოზარდს ჩადენილი ქმედებისთვის სათანადოდ დასჯიან, ხოლო მის ქმედებას კანონით შეფასება მიეცემა თუ არა, უცნობია.

# პორტუგალიაში ყველაზე ძვირადღირებული შოკოლადი წარმოადგინეს



პორტუგალიის ქალაქ ობიდუშში გამართულ ბაზრობაზე ყველაზე ძვირადღირებული შოკოლადი იქნა წარმოდგენილი.

პორტუგალიელი შოკოლატიეს დანიელ გომესის ნაწარმი შესულია იმ შეზღუდულ სერიაში, რომელიც ათასი შოკოლადის კანფეტისგან შედგება. ის დაფარულია საჭმელი ოქროთი, ხოლო მისი შიგთავსი დამზადებულია ზაფრანას ძაფების, თეთრი ტრიუფელის, მადაგასკარული ვანილის და ოქროს ფანტელებისგან. მისი ფასი 7728 ევროა.

გომესის მტკიცებით, გინესის რეკორდების წიგნმა უკვე აღიარა მისი ქმნილება მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულად. ბაზრობაზე მის ქმნილებას ორი უნიფორმიანი მამაკაცი იცავდა.

# მხიარულ სპლიყვს ტურისტი გოგონა მოეწონა



ტაილანდში მხიარული სპლიყვი ტურისტ გოგონას, რომელიც მას ხორთუმზე მოეფერა, მუხლებზე დააჯდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ტურისტი გოგონა ჰანა ფრენჩიკი, ამერიკის ვირჯინიის შტატიდან, ტაილანდში შვებულებით იმყოფებოდა და ქალაქ ჩიანგმაიში ექსკურსიის ფარგლებში სპილოების ფერმას ესტუმრა. იქ მან ერთ-ერთი სპლიყვის ყურადღება მიიპყრო, რომელმაც მასთან მიირბინა.

ფრენჩიკი სპლიყვს ხორთუმზე მოეფერა, მაგრამ პატარა მოსიყვარულე ცხოველისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა: მან მოცინარი გოგონა ატალახებულ მიწაზე წააქცია, და ჯერ ზევიდან დააწვა, მერე კი მის მუხლებზე წამოსკუპდა.

– ეს ყველაზე საოცარი და ბედნიერი მომენტი იყო ჩემ ცხოვრებაში. მან ჩემი ცხოვრება ფაქტიურად ორ ნაწილად გაჰყო, რაც იყო მანამდე, და მას შემდეგ, – განაცხადა ამერიკელმა ტურისტმა გოგონამ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 21 მარტისთვის



**ვერძი** – პრობლემების მოგვარებას სერიოზული სირთულეები ახლავს. დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **კურო** – ნერვებს ნუ აჰყვებით. ემოციები მოთოკეთ. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას მაქსიმალური ყურადღებით მოეკიდეთ. დაისვენეთ ბუნების წიაღში. **კირჩხიბი** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. თქვენს ცხოვრებაში ახალგაცნობილ ადამიანს ნუ ჩარევთ. **ლომი** – წონასწორობა შეინარჩუნეთ. არასაჭირო კონტაქტებს თავი აარიდეთ. **ქალწული** – მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებას სამომავლოდ ნუ გადადებთ. პირად ცხოვრებაში გრძნობებს გასაქანი არ მისცეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ფინანსური კუთხით სირთულეები გელით. ნუ გარისკავთ. **ღრიანკალი** – ენერგია აღიდგინეთ, ივარჯიშეთ, წაიმუშავეთ ბაღში. საკუთარი ქმედებები კრიტიკულად შეაფასეთ. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა. თამამი და თავდაჯერებული ხართ. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება სამომავლოდ არ გადადოთ. პირად ცხოვრებაში ცივი გონებით იმოქმედეთ. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. ყურადღება მთავარ საქმეს დაუთმეთ. **თევზები** – დაშვებული შეცდომებიდან სათანადო დასკვნები გამოიტანეთ. საღამოს ენერგია გემატებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. უბანი ძველ თბილისში; 2. სიმჟავეების ჭარბი შემცველობა სისხლში და ორგანიზმის ქსოვილებში; 3. რეცეპტის პირი, რომელიც აფთიაქიდან გაცემულ წამალს ახლავს; 4. მოყვითალო, სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 5. კომბინაცია პრეფერანსში; 9. შვედური ავტომობილი; 10. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 14. კაცთმოყვარე, ქველმოქმედი ადამიანი; 15. შვეიცარიული ფარმაცევტული ფირმა; 16. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 19. ასანთის ქართული სახელწოდება; 20. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 21. ამერიკული ჯიპი.

**თარაზულად**: 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი და შეხებითი აღქმა; 7. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი; 8. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში; 11. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 12. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 13. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. მრავალხმიანობა მუსიკაში; 18. ვაშლის ქართული ჯიში; 22. ქართული მინერალური წყალი; 23. შენობის სახურავად გამოყენებული გამომწვარი თიხის ფირფიტა; 24. საზღვაო ფლოტის სარდლის ძველი სახელწოდება; 25. ზოდიაქოს ნიშანი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ვიგვამი; 2. დიოგენი; 3. „ალკენი"; 4. წყრთა; 5. დელაკრუა; 7. „კია"; 11. მზიური; 15. ვოლიერი; 16. ლემური; 17. გონიო; 18. ფობია; 20. გინზა; 22. „მახა".

**თარაზულად:** 6. იგრიკა; 8. ხინკალი; 9. წურბელა; 10. ვახშამი; 12. ტანკი; 13. არაკი; 14. ბარიტონი; 19. პალანგა; 21. „ხორუმი"; 23. „ოსუმი"; 24. ჩიბუხი; 25. ტრუიზმი; 26. „ბახთიარი".

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გეიმერი; 2. ლიბრეტო; 3. „კრაისლერი"; 4. თრომბი; 5. ასტანა; 9. ბუერი; 10. ამტყელი; 14. ჰერბარიუმი; 15. შერმადინი; 16. სლაიდი; 19. კეტჩუპი; 20. კეხურა; 21. „ნადური".

**თარაზულად:** 6. რესპირატორი; 7. სუარესი; 8. ამპერი; 11. დურბანი; 12. ხრამი; 13. ტერტერა; 17. „სეგიდელია"; 18. ფილისტერი; 22. ბერკუტი; 23. „დიადორა"; 24. სპონსორი; 25. რიქსდაგი.

# კინოსტუდიის ისტორიულ შენობას საძირკველი გაუშიშვლეს



ალმაშენებლის გამზირზე მდებარე კინოსტუდიის ისტორიულ შენობას საძირკველი გაუშიშვლეს და სამშენებლო ღობე შემოარტყეს.

ბაბი თურქიამ შენობის ფოტოები გაავრცელა და გამოთქვა მოსაზრება, რომ შენობას სახურავიც ახდილი აქვს, რათა უფრო მალე დაინგრეს:

– სოს! კინოსტუდიის შენობას გარედან ღობე აქვს შემოვლებული დიდი ხანია, ისე, რომ ძნელია მიხვედრა, რა ხდება ღობის შიგნით.

თუ შეიხედავთ ღობის შიგნით, დაინახავთ, რომ შენობის გასწვრივ გათხრილია ღრმა საძირკველი და მთლიანად გაშიშვლებულია კინოსტუდიის აგურის ფუნდამენტი, რომელსაც აწვიმს და ათოვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ძეგლი დასანგრევადაა განწირული.

არ ვიცით, ისევ გაყიდეს თუ ყიდიან. ფაქტია, რომ დასანგრევად მოამზადეს, თუმცა, ყველამ იცის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მფლობელს აქვს ვალდებულება, სრულად შეინარჩუნოს და დაიცვას ეს ძეგლი.

რეალურად ღობე მიაფარეს, რომ ვერ დაგვენახა. რა ხდება და საძირკველი გააშიშვლეს. მალე, ალბათ, იტყვიან, შენობა თავისით დაინგრა და ახალი უნდა აშენდესო. სავარაუდოდ, სახურავიც ახდილია, რათა უფრო მალე დაინგრეს.

შენობასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვა ისტორიკოსმა ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმაც:

– სიყმაწვილე ამ უბანში გავატარე. ამ შენობასთან ჩავლისას განსაკუთრებული გრძნობა მეუფლებოდა, უხდებოდა ეს შენობა ქალაქს, არქიტექტურულადაც და იმ „იდუმალი“ საქმეებით, რასაც გარედან ვერ ვხედავდით.

ამ შენობის კედელზე წავიკითხე პირველად, 80-იანი წლების დასაწყისში უზარმაზარი წარწერა: „ძირს რუსეთი“. ტროლეიბუსიდან გაოცებულები ვუყურებდით, საღამოს აღარ დაგვხვდა.

ამ შენობაში გავიცანი კაკო ბაქრაძე და ტრანსკავკასიური რკინიგზის პროექტის წინააღმდეგ დაწერილი სტუდენტების წერილი წავაკითხეთ.

აქ გავიგე პირველად, მთაწმინდაზე ფილიპე მახარაძის საფლავის ქვის აფეთქების შესახებ.

ამ შენობაში ვნახე „დონ ჟუანი“ ზურაბ ყიფშიძის, ამირან ამირანაშვილის და სხვათა შესანიშნავი შესრულებით.

ამ შენობაში, თაღებს შუა აკრული ფიცრულის იქით გაიხსნა თბილისში პირველი პიცერია, რაც ისეთივე უცხო ხილი იყო ჩვენთვის, როგორც კოკა-კოლა.

...მჯერა, რომ მე მარტო არ ვარ და მრავალ თბილისელს ასეთივე თუ არა, მსგავსი გრძნობები აკავშირებს ამ შენობასთან.

# ჰაკერებმა მეგან მარკლის ინტიმური ფოტოები გაავრცელეს



ჩელებ ჟიჰად-ის ჰაკერები ვარსკვლავების ინტიმური სურათების გამოქვეყნებით არიან დაკავებულები. მათ საკუთარ ვებ-გვერდზე განათავსეს ბრიტანეთის პრინცის, ჰარის საცოლის და მსახიობ მეგან მარკლის შიშველი ჩანაწერი.

ვიდეორგოლში მსახიობი კამერის წინ შიშველი ჩნდება. კადრების მიხედვით, გადაღება რომელიღაც პლაჟზე მიმდინარეობდა. ჩელებ ჟიჰად-ის ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია ვიდეორგოლის სკრინშოტები.

შეგახსენებთ, რომ პრინც ჰარის და მეგან მარკლს 2017 წლის ნოემბერში ჰქონდათ ნიშნობა, ხოლო მათი ქორწილი მიმდინარე წლის 19 მაისისთვისაა დანიშნული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ნინო ანანიაშვილი 55 წლის გახდა



ქართველი პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი 55 წლის გახდა. იუბილე მას ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტებმა, გუნდმა, ორკესტრმა და საბალეტო დასმა ორიგინალურად მიულოცა.

„ტურანდოტის“ პრემიერამდე რამდენიმე დღე დარჩა და ყოველდღე სცენაზე ინტენსიური რეპეტიციები მიმდინარეობს. ერთ-ერთ რეპეტიციაზე კი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ბადრი მაისურაძემ სასიამოვნო და მოულოდნელი სიურპრიზი მოუწყო პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილს. თეატრის სოლისტებმა, გუნდმა, ორკესტრმა და საბალეტო დასმა ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელს დაბადების 55 წლის იუბილე სიმღერით მიულოცეს. იმღერა თავად ბადრი მაისურაძემაც, რომელმაც ბალერინას ულამაზესი ვარდების თაიგული მიართვა.

**ნინო ანანიაშვილი:**

– ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ჩემი 55 წლის იუბილე ასეთი გამორჩეული და ჯადოსნური თუ იქნებოდა. ეს დღე თქვენმა მოლოცვებმა და თბილმა სიტყვებმა სრულიად განსაკუთრებული გახდა. დიდი მადლობა საოცარი სიურპრიზისთვის, რომელიც თბილისის ოპერის და ბალეტის თეატრის კოლექტივმა და ბატონმა ბადრი მაისურაძემ მომიწყო, ყველა ჩემს კოლეგას, პარტნიორს, მეგობარს, ჩვენს საბალეტო დასს, ვინც დაბადების დღე ასე გამილამაზა.

# ბესიკ ნემსაძე „მხოლოდ ქართულს“ პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებს




მუსიკალურმა პროექტმა „მხოლოდ ქართული“ საქართველოში მოგზაურობა დაასრულა. ჟიურიმ სოფო ნიჟარაძის, მარინა ბერიძის და გიორგი უშიკიშვილის შემადგენლობით უკვე შეარჩია ის საუკეთესო კონკურსანტები, რომლებით შოუში მონაწილეობას მიიღებენ.

ჟიურიმ პროექტის წამყვანებთან ნიკა გრიგოლიასა და ილო ბეროშვილთან ერთად საქართველოს ყველა რეგიონი მოიარა და ქართული სიმღერის ყველაზე კარგი შემსრულებლები ფინალურ ეტაპზე გადაიყვანა.

მომღერალი ბესიკ ნემსაძე მუსიკალურ გადაცემას „მხოლოდ ქართული“ პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებს და მის ხელმძღვანელობას სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას ურჩევს. მომღერლის განაწყენება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მისი მეგობარი, მომღერალი ვანო ტურაბელიძე საუკეთესოთა შორის ვერ მოხვდა.

**ბესიკ ნემსაძე:**

– „მხოლოდ ქართული“. აი, ძალიან დიდ პატივს ვცემდი რუსთავი 2-ის პროექტებს... მაშინაც კი, როცა „იქს ფაქტორზე“ 4 კი მომეცით და საერთოდ არ დამირეკეთ....

მაგრამ იმ ხალხის გადასვლამ შემდეგ ტურში, ყველას არ ვგულისხმობ, და ვანო ტურაბელიძის დატოვებამ იმიტომ, რომ „იმედის“ პროექტში იყო... სამუდამოდ დაასამარა ჩემი წარმოდგენა თქვენზე...

ნუ, იმაზე, რომ ეს ბიჭი ცუდად მღერის, ხო საერთოდ ვერც ისაუბრებთ, ამიტომ ჩემი რეკომენდაცია იქნება, ნუ იქნებით პოლიტიკურად მოტივირებულები ყველაფერში.

# ქეთა თოფურიამ ახალი კოლექცია რუსეთის მერსედეს ბენცის მოდის კვირეულზე წარადგინა



მომღერალმა ქეთა თოფურიამ თავისი ახალი კოლექცია მოსკოვში გამართულ მერსედეს ბენცის მოდის კვირეულზე წარადგინა.

სხვადასხვა დიზაინერების შემოდგომა-ზამთრის კოლექციებთან ერთად, მოდის მოყვარულებმა „ა სტუდიოს“ ქართველი სოლისტის კოსტიუმებიც იხილეს.

ფერად კოლექციაში ყველაზე მეტად მაინც ჯინსი დომინირებს. ეს არის კოლექცია, რომელსაც თავისუფალი სტილის მოყვარული ახალგაზრდები მოირგებენ.

ქეთა თოფურიამ არაერთხელ განაცხადა, რომ ის დიზაინერი არ არის და მოდის კვირეულზე კოლექციის გატანა დიზაინერობას არ ნიშნავს. დიზაინერები რამდენიმე კატეგორიად იყოფიან – შემოქმედები, ნოვატორები, კომერციულად ძლიერები, სტილისტები.

ქეთა მიეკუთვნება ადამიანების კატეგორიას, რომლებიც საკუთარი სახელით ტანსაცმელს კერავენ, აქვთ ზედმეტი ფული და არ იციან, სად წაიღონ.

**ქეთა თოფურია:**

– მე არ ვპოზირებ ისე, როგორც დიზაინერი, უბრალოდ, ჩემი მეგობარი მიმი შელია და არამარტო მიმი მეუბნებოდა, რა მაგრად იცვამ, შენ ხაზი უნდა გქონდესო, ჩვენც გვინდა შენი რაღაცები გვეცვასო. დიზაინერად არ ვთვლი თავს. ვუშვებ კოლექციას, რომელიც ჩემს მეგობრებს მოსწონთ და მიაჩნიათ, რომ განსაკუთრებული ხედვა მაქვს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები



შვილი სოსო მონიავა, რძალი თეა სარიშვილი, შვილიშვილები ბაჩანა, უჩა, თათია მონიავები, და ადა ჯიქია, ძმა რომული, რძალი ნინელი კუხალეიშვილი, სიძე ჟორა ცხოვრებაშვილი, დისშვილები მამუკა ცხოვრებაშვილი, მაია ვახანია ოჯახებით, ძმისშვილები ნათია, სოსო ჯიქიები ოჯახებით, ლაშა ვახანიას ოჯახი, მძახლები მარინა, ვალტერ სარიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, მულიშვილები და მაზლიშვილები დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ინეზა ჯიქია-მონიავა**

პანაშვიდი: 20, 21 მარტს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 22 მარტს, 14 საათზე.

მისამართი: გლდანის II მიკრორაიონი, კორპუსი 42ა, III სართული.



მეუღლე ნაილი გერგედავა, შვილები ზაზა, ეკა, შვილიშვილები ეკა კაკუბავა, გიორგი, ნიკოლოზ ემუხვარები, რძალი ლალი მესხია, სიძე ავთანდილ ემუხვარი იუწყებიან

**ჯუმბერ კაკუბავას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 19, 20 მარტს, ვაჟა-ფშაველას II კვარტალი, IXა კორპუსი, ბინა 21.

გამოსვენება: 21 მარტს, 14 საათზე, ილიას ტაძრიდან (მის: ოთარ ჩხეიძის №6 შანხაისთან)

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**21 მარტისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4401

ევრო — 3.0003

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4239

100 რუსული რუბლი — 4.2328

## ამინდის პროგნოზი 21 მარტისთვის





20 მარტიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი






22 მარტიდან

180 ამბავი

ილია ჭავჭავაძე

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი






6 მარტიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი






13 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი






15 მარტიდან

100 ამბავი

მსოფლიო მონარქები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი





## იუმორი

რუსს ეკითხებიან: რა განსხვავებაა პრეზიდენტსა და პატრიარქს შორის?

— ერთი გვპირდება, რომ ამქვეყნად გვექნება კარგი ცხოვრება, ხოლო მეორე გვპირდება, რომ გარდაცვალების შემდეგ კარგად ვიქნებით.

— და რა მსგავსებაა მათ შორის?

— ორივე გვატყუებს!

●●●

მაწანწალას ეკითხებიან:

— როგორია ცხოვრება, როდესაც ყოველდღე რაღაც უბადრუკი თეთრებისთვის მათხოვრობ?

— არ ვიცი, მენეჯერად არასოდეს მიმუშავია.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— გავიგე, ახალი მანქანა გიყიდია. გილოცავ, როგორია?

— მადლობა. მაგარია, გონებით იმართება...

— მართლა?

— ჰოდა, ხელის მუხრუჭი ვერაფრით გავთიშე...

●●●

ცოლი და ქმარი დივანზე არიან წამოწოლილები. ცოლს ესმის, რომ მის ტელეფონზე, რომელიც მეორე ოთახშია მაგიდაზე, სმს შეტყობინება მოვიდა. ქალი ადგა, გავიდა მეორე ოთახში და ტელეფონში მოსულ სმს-ს კითხულობს:

— რახან მაინც ადექი, ბარემ მაცივრიდან ლუდი გამომიყოლე!

●●●

არსებობს ხალხური თქმულება, რომ სარკის წინ არც ჭამა და არც დალევა არ შეიძლება, მაშინ ტუალეტში სარკის დაკიდება საერთოდ არ არის სასურველი.

●●●

სომხეთის ქალაქის რადიო აცხადებს:

— პატივცემულო მოქალაქეებო, ჩვენი ქალაქის ზოოპარკიდან ენოტი გაიქცა, ვინც დაინახა ცხოველი, სასწრაფოდ 10 დოლარი გადაიხადოს ზოოპარკის სალაროში.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— დაბადების დღეზე იცი რა მინდა, რომ მაჩუქო?

— რაა?

— აი, ფეხს რომ დააჭერ და სამ წამში 0-დან 100-მდე რომ ავა მაჩვენებლის ისარი...

— სასწორი?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კაზემირო: „რუსეთის ნაკრების არცერთი ფეხბურთელი არ ვიცი“



23 მარტს რუსეთის ნაკრები საკუთარ მოედანზე ბრაზილიის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ბრაზილიელები უკვე რუსეთში არიან და მათ ჟურნალისტებმა რამდენიმე შეკითხვაც დაუსვეს.

კაზემირომ აღიარა, რომ მან რუსეთის ნაკრების არცერთი ფეხბურთელის სახელი და გვარი არ იცის.

— რუსეთის ნაკრები კარგად ორგანიზებული გუნდია და, ვფიქრობ, მასთან იოლი შეხვედრა არ გვექნება. სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ რუსეთის ნაკრების არცერთი ფეხბურთელის გვარი არ ვიცი. ჩვენ მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავდივართ და გამონაკლისი არც ეს შეხვედრა იქნება, — განაცხადა კაზემირომ.

## ნგოლო კანტე ჩელსიდან წასვლას არ აპირებს



ჩელსის ნახევარმცველმა ნგოლო კანტემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჩელსიში ის თავს ძალიან კარგად გრძნობს და წასვლას არ აპირებს.

კანტეს თქმით, ჩელსი მომავალ სეზონში ისევ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

— გასული სეზონი ძალიან კარგი იყო და ჩემპიონობა მოვიგეთ. წელს ყველაფერი ისე აღარ არის, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, კვლავ გავძლიერდებით და ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. ჩელსი ჩემი სახლია და აქედან წასვლას არ ვაპირებ, — განაცხადა ნგოლო კანტემ.

კანტე ჩელსიში 2016 წლის ზაფხულს გადავიდა და მას შემდეგ ის ლონდონური კლუბის ერთ-ერთი ლიდერია.

## კიელინი რეალის წინააღმდეგ თამაშს შეძლებს



იუვენტუსის ცენტრალური მცველი ჯორჯო კიელინი რეალის წინააღმდეგ თამაშს შეძლებს, რადგან მისი ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა.

კიელინი სპალთან შეხვედრის დროს დაშავდა და ექიმები შიშობდნენ, რომ მას დაახლოებით 3 კვირის გამოტოვება მოუწევდა, მაგრამ ასე არ იქნება.

კიელინი იუვენტუსის დაცვის მთავარი ლიდერია და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ტურინული კლუბი თითქმის არ უშვებს გოლებს.

მადრიდის რეალთან პირველი შეხვედრა ტურინში 3 აპრილს გაიმართება.

## ინიესტა შესაძლოა ზაფხულში ბარსელონიდან წავიდეს



ანდრეს ინიესტამ შესაძლოა ზაფხულში ბარსელონა დატოვოს და კარიერა რომელიმე ჩინურ კლუბში გააგრძელოს. ინიესტას ჩინეთში ძალიან დიდ თანხას სთავაზობენ და შესაძლოა ანდრესი დათანხმდეს კიდეც, მაგრამ ჯერჯერობით მას გადაწყვეტილება არ მიუღია. ინიესტას თქმით, ის საბოლოო გადაწყვეტილებას აპრილის ბოლოს მიიღებს და ჯერჯერობით არ იცის, თუ სად გააგრძელებს კარიერას.

ინიესტა ბარსელონის ღირსებას 2005 წლიდან იცავს და წლების განმავლობაში მან კატალონიურ გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო.

## თომას მიულერს ინგლისში ეპატიჟებიან



მიუნხენის ბაიერნის ფორვარდ თომას მიულერს ინგლისური კლუბებისგან ბევრი შემოთავაზება აქვს. განსაკუთრებით ეს მანჩესტერ იუნაიტედს ეხება, რომელიც დიდი ხანია ცდილობს მიულერის გადაბირებას.

თვითონ ფეხბურთელი ამბობს, რომ გერმანიაში ბედნიერია და ბაიერნის დატოვებას არ აპირებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 2. კენიის დედაქალაქი; 3. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 4. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 5. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 7. არაბეთის ზღვისპირა პოპულარული საკურორტო ზონა ინდოეთში; 11. ხის ტანი ფესვიდან ვარჯამდე; 15. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 16. პატარა რესტორანი საფრანგეთში; 17. უნგრელი მწერალი, რომან „ოქროს კაცის“ ავტორი; 18. დიპლომატიური წარმომადგენელი; 20. წყლის საქაჩი მოწყობილობა; 22. გემის სიჩქარისა და განვლილი მანძილის საზომი ხელსაწყო.

**თარაზულად**: 6. ქართული სადაზღვევო კომპანია; 8. ისტორიული მოედანი პარიზში; 9. ზოგიერთი მცენარის მიერ გამოყოფილი ტკბილი წვენი; 10. ჩქარტემპიანი უნგრული ცეკვა; 12. ფრანგული მინერალური წყალი; 13. ხელოვნური სარწყავი არხების სახელწოდება შუა აზიაში; 14. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელა; 19. ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 21. პატარა დასახლებული პუნქტი; 23. გრძელი ტანისა და მოკლე ფეხების მქონე დაბალი მონადირე ძაღლის ჯიში; 24. მოდუღებული ყურძნის წვენი; 25. მათემატიკის ნაწილი; 26. მოძღვრება რელიგიის შესახებ.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*